15 მარტი. წელიწადი მეორე ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ქალი სოციალისტურ აღმშენებლობაში.

ფოტო—შ. ფურცხვანიძის.

# ქრონიკა სურათებში

ჰამბურგის ქიმიურ ფაბრიკებში შემოიღეს ახალი ნიღაბი შხამიან გაზების საწინააღმდეგოდ, იგი გამჭვირვალია და ხმარობენ ქიმიურ მრეწველობაში.



გაზის საწინააღმდეგო ახალი ნიღაბი.




„თავისუფალი ქალი“ ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

როდესაც საბჭოთა ქვეყანაში 8 მარტს დღესასწაულობენ ქალის განთავისუფლებას, საზღვარგარედ ქალს სული ეხუთება აუტანელ ექსპლოატაციით. 20 მილ. ქალი უმუშევრად იმყოფება, მშიერი და მწყურვალი, რამდენიმე ათეული მილიონი ბავში შიმშილობს, რადგან მათს მშობლებს ხელფასი შეუმცირეს და მრავალიც ქარხნიდან დაითხოვეს.




ახალი კონსტრუქციის ორთქლმავალი.

ინგლისში ააგეს ახალი ორთქლმავალი, რომლის სისწრაფე ბევრად აღემატება ძველ ორთქლმავლებს და 25 პროცენტით ნაკლები სჭირდება სათბობი მასალა.



წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი ქალები ბაბაშის ქოხსამკითხველოში.



ძველმა რუსეთმა სრულებით არ იცოდა რა იყო ქაღალდის ქარხანა. ყოველნაირი ქაღალდი შემოჰქონდათ უცხოეთიდან.

ოქტომბრის რევოლიუციამ კულტურისადმი სტიქიური მისწრაფება. გამოიწვია

საბჭ. კავშირის მუშა და გლეხი წიგნს და ცოდნას დაეწაფა. გამოდის ასობით გაზეთი, მილიონი ტირაჟით, აუარებელი წიგნები მილიონ მოწაფეთათვის. წერაკითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა და სხვა თხოულობს მრავალ ათიათას ტონა ქაღალდს.

საბჭოთა ხელისუფლება ქაღალდის მრეწველობას უდიდეს ყურადღებას აქცევს და აშენებს ქაღალდის ახალ ქარხნებს როგორც ცენტრში ისე მოკავშირე რესპუბლიკებში.

სურათზე ნაჩვენებია ბალახნინის ქარხანა. მარჯვენით მდინარეს მოაქვს მორები. მორები ავტომატიურად იხერხება. მორებს ქვაბებში ხარშავენ, დაპობილს ატარებენ პრესში და ქიმიურად აზავებენ, აშრობენ და აქცევენ ქაღალდად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშა

# თეთრი ტერორი კომუნის შემდეგ

კომუნის არსებობის 72 დღემ საკმაო შიში აგემა არა მარტო საფრანგეთის, არამედ საერთაშორისო ბურჟუაზიას. ყველა ქვეყნებში „წმინდა კერძო საკუთრების“ დამცველები დორბლს ჰყრიდენ პირიდან და გაუბედავობას აბრალებდენ ტიერს იმისათვის, რომ ის აყოვნებს კომუნარების გასრესას. მაგრამ ბებერმა მელიამ იცოდა რას აკეთებდა. არის მრავალი საბუთები ვიფიქროთ, რომ ვერსალის ჯარებს გაცილებით ადრე შეეძლოთ აეღოთ პარიზი, მაგრამ ტიერი განზრახ აგვიანებდა ქალაქის დაპყრობას, რომ შეექმნა შესაფერი ატმოსფერა კომუნარებისათვის გამზადებულ „სისხლიან აბანოს“ გასამართლებლად.

და როცა რამპონოს ქუჩაზე დაეცა უკანასკნელი ბარიკადა და გამარჯვებულმა ტიერმა ამცნო ვერსალში გადახვეწილ ბურჟუებს, რომ „პარიზი განთავისუფლებულია, წესრიგი, შრომა და უშიშროება იბრუნებენ თავიანთ უფლებას“, ბურჟუაზიული პრესა, ჯაჭვიდან აწყვეტილ ქოფაკებივით გადავიდა იერიშზე დამარცხებულ კომუნარების წინააღმდეგ. ჭორების და ცილისწამების მთელი ზღვა გადმოანთხიეს იმათზე, ვინც უკეთესი მერმისის დროშაააფრიალა პირველად. კომუნარებს ბრალს სდებდნენ ძარცვა-გლეჯაში, გარყვნილებაში, სისასტიკეში და სხვ. ცნობილია რომ კომუნარების ერთი მთავარი შეცდომათაგანი იყო წრეგადასული ლმობიერება თავიანთი კლასობრივი მტრების მიმართ. მიუხედავათ ამისა, ბურჟუაზიული პრესა განგაშს სცემდა კომუნარების „სისხლისმსმელობის“ შესახებ, რომ ამით გაემართლებია ის სისხლის ზღვები, რომელიც ტიერმა და მისმა ჯალათებმა დააყენეს პარიზში.

ჩვენი მკითხველებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გაცნობა ზოგიერთ ამონაწერებთან კომუნის დაცემის შემდეგდროინდელ ბურჟუაზიული პრესიდან*)

„Bien Public“: „კომუნარებზე ნადირობა უნდა მოეწყოს... ჩვენ არ გვიღიმის დამარცხებულ მტრების შეურაცყოფა, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, განა ეს არამზადები მტრები არიან? ისინი არიან ბანდიტები, რომლებმაც თვით დააყენეს თავი ჰუმანიორობის კანონების გარეშე“.

„Opinion National“: „არამზადების მეფობა გათავდა“.

„Patrie“: „თუ პარიზს სურს შეინარჩუნოს პრივილეგია—იყოს პატიოსანი და ფეშენებელური ბომონდის შესაკრები პუნქტი,—ეს მასზე არის დამოკიდებული: მან იმ სტუმრებს, რომელთაც იწვევს თავის დღესასწაულზე, უნდა მოუპოვოს უშიშროება, რომელსაც არაფერი დაემუქრება... მაგალითები აუცილებელია, საბედისწერო აუცილებლობაა, მაგრამ აუცილებლობა! ამ ხალხს, რომლებიც ჰკლავდნენ იმისათვის, რომ მოეკლათ ე გაეძარცვათ, ახლა კი ტყვედ მყოფთ, განა მათი საქმეებისათვის შეგვიძლია უპასუხოთ სიტყვით—პატიება! ეს საძაგელი დედაკაცები, რომლებიც დანებით უფატრავდნენ გულს მომაკვდავ ოფიცრებს, ახლა ტყვედ გვყავს და განა მათ ეთქმით: „პატიება!“

„Moniteur Universel“: „არც ერთი არამზადა, რომელთა ხელში ორი თვის განმავლობაში იყო პარიზი, არ ჩაითვლება პოლიტიკურ დამნაშავეთ; მათ მოეპყრობიან, როგორც ყაჩაღებს“.

„Gaulois“: „სიკვდილი—სასჯელი როდია; იგია გაფრთხილება. ჩვენ ვხედავთ ათასობით ხალხს, შეპყრობილთ საშინელი აღშფოთებით. ისინი სძარცვავენ, ჰკლავენ, სწვავენ. ეს—გაგიჟებაა, დასაშვებია. მაგრამ ამგვარი სახის გიჟები და ასეთი რაოდენობით, ერთმანეთთან შეთანხმებულნი, ისეთ დიდ საფრთხეს წარმოადგენენ საზოგადოებისათვის, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, რომ არ არსებობს მათ წინააღმდეგ სხვა სასჯელი, გარდა მათი რადიკალური განადგურებისა“.

„Figaro“: „ჩვენ ალყა უნდა შემოვარტყათ, როგორც მხეცებს, იმათ, რომლებიც მიიმალნენ; შეუბრალებლად, განრისხების გარეშე, მაგრამ სიმტკიცით, რომლითაც პატიოსანი ადამიანი ასრულებს თავის მოვალეობას“.

„Independece Francaise“: „ეშველა, როგორც იქნა, პარიზი განთავისუფლდა ყაჩაღების, მძარცველების, მწველების და ქურდების ბანდისგან... იმ მომენტში, როცა ჩვენ შეგვიძლიან თავისუფლად ამოვისუნთქოთ, როცა ჩვენი ფილტვები კვლავ ივსება წმინდა ჰაერით, რომელიც აქამდე დამძიმებული იყო ამ საძაგელთა ბინძური სუნთქვით, მხოლოდ ერთი ყიჟინა შეიძლება მოსწყდეს ჩვენი ტუჩებიდან და ეს იქნება ყიჟინა ყველა ფრანგების: „არავითარი პატიება ამ არამზადებს. მხოლოდ ერთი სასჯელით შეიძლება მათ დანაშაულთა მონანიება: სიკვდილით!“

იმ დროს, როცა ბურჟუაზიული პრესა „შესაფერ ატმოსფერას“ ქმნიდა თეთრი ტერორისათვის, ჯალათების მთელი არმია მოედვა პარიზს და ჟლეტდა ტყვე კომუნარებს, მათ ნათესავებს, ახლობლებს, განურჩევლად სქესისა და ჰასაკისა.

ქვევით ჩვენ გავაცნობთ მკითხველებს რამოდენიმე სურათს იმისას, თუ როგორ ჟლეტდენ კომუნარებს.

„როცა მოვიდა არმია (ვერსალელების),—სწერს კამილ პელტანი, ცნობილი ფრანგი ბურჟუაზიული ჟურნალისტი, მესამე რესპუბლიკის მინისტრი 1905 წ., რომელსაც ვერავინ დასწამებს სიმპატიებს კომუნარების მიმართ,—მან რეაქციის რაღაც საიდუმლოების ზეგავლენით წარმოიდგინა, რომ თვით ქუჩაც დამნაშავეა და რომ თითეულ მის მცხოვრებს აცხია კლემან ტომისა და ლეკონტის*) სისხლი. ხვრეტდნენ მასიურად და შეუბრალებლად, ორ გენერლის ლანდს შესწირეს აუარებელი მსხვერპლი“.

ოფიცრებისაგან სახელდახელოდ შედგენილი სამხედრო „სასამართლოები“ აწყობდნენ გასამართლების კომედიას. ჯგუფ-ჯგუფად მოერეკებოდნენ ამ სასამართლოებში ტყვე კომუნარებს. „გასამართლების“ მეთოდები მარტივი იყო: თუ ხელი ჰქონდა დამწვარი თოფის წამლით, ან ხალათზე იყო თოფის კონდახის ხანგრძლივი ხახუნის ნიშნები, ან დატყვევებულის სახე არ მოეწონებოდა მთვრალ ოფიცრებს, ის განწირული იყო: მას ხვრეტდნენ იქვე სადმე ეზოში.

ტიერის ოფიცრების ტერორს ვერ გადაურჩნენ მცირეწლოვანი ბავშვებიც კი.

ის ივე კამილ პელტანი აწერს შემდეგ შემაძრწუნებელ სურათს:

„მე დავინახე, თუ როგორ გამოიყვანა ოთხმა პოლიციელმა ექვსი ბავში სამხედრო სასამართლოდან. უფროსი 12 წლის იქნებოდა, უმცროსი—ევ-ისაც არა. საწყლები სტიროდნენ, როცა მიჰყავდათ ორრიგათ გამწკრივებულ არამზადებს შორის, რომლებიც ჰყვიროდნენ: „სიკვდილით დასაჯეთ, თორემ მათგან მეამბოხეები გაიზრდებიან“. ყველაზე უმცროსი ბავში მისჩანჩალებდა ფეხშიშველი, ერთი პერანგისა და შარვლის ამარა და სტიროდა მწარე ცრემლებით. მე დავინახე, თუ როგორ შეიყვანეს ისინი ლოგოს ყაზარმაში“.

ტყვე კომუნარების ნაწილს ჟანდარმები და ჯარისკაცები მიერეკებოდნენ ვერსალში, სადაც მათ ჯალათ-გენერლებთან ერთად ხვდებოდნენ „მაღალი წრის“ წარმომადგენლები. „ბატონები და ქალბატონები,—სწერს კომუნის ისტორიკოსი დიუბრეილი,—ხელთათმანებში... თავს ესხმოდენ ტყვე კომუნარებს... ისინი ლანძღავდნენ და საძაგლად შეურაცყოფდნენ უბედურებს, რომლებიც მოკლებული იყვნენ წინააღმდეგობის გაწევის საშუალებას; ბატონები თავიანთ ტროსტებით, ქალბატონები კი თავიანთ ქოლგებით სცემდნენ ტყვეებს, სადაც მოხვდებოდათ, უფრო კი სცდილობდნენ თვალში მოეხვედრებიათ. უმაღლესი საზოგადოება ხალხში არეულ ჟანდარმებისა და პოლიციელების ცოლები სახეში აფურთხებდნენ ტყვეებს, აგლეჯდნენ მათ წვერს და თმებს“...

მაგრამ იმდროინდელი ბურჟუაზიული პრესაც კი აღიარებს, რომ კომუნარებმა გამოიჩინეს

*) ლუი დიუბრეილის წიგნიდან: „1871 წ. კომუნა“.

*) შავრაზმელი გენერლები, რომლებიც დახვრიტეს აჯანყებულმა პარიზელებმა.

რაჩვეულებრივი სიმტკიცე. ისინი კვდებოდნენ ისე, როგორც შეჭფერის რევოლიუციის ნამდვილი ჯარისკაცებს. სიტყვებით: „გაუმარჯოს კომუნას!“

***

აი რას სწერენ მაშინდელი გაზეთები:

„Petit Moniteur“: „განწირულებს თავი უჭირავთ იმდენად უდარდელად, რამდენადაც ენერგიულად. როცა მათ უხდებათ წინად დახვრეტილთა გვამებზე გავლა, ისინი ხტებიან რომ ფეხი არ დაადგან მათ, მიუბრუნდებიან ჯარისკაცებს და ეუბნებიან: „გვესროლეთო“.

„Gaulois“: „ყველა ქალები, რომლებიც დახვრიტეს გაბრაზებულმა ჯარისკაცებმა, მოკვდნენ წყევა-კრულვით ტუჩებზე. დამცინავი ღიმილით, როგორც წამებულები, რომლებიც თავის მსხვერპლათ გაწირვით უმაღლეს მოვალეობას იხდიან“.

„Etoile“ (ბელგიური გაზეთი): „უმრავლესობას არ ეშინოდა სიკვდილის; როგორც არაბები ბრძოლის შემდეგ, ისინი შეხვდნენ მას დამშვიდებით, დაცინვით, სიძულვილისა და განრისხების გარეშე, არ შეურაცყოფდნენ ჯარისკაცებს, რომლებიც ხვრეტდნენ მათ“.

პარიზი სისხლში ილრჩობოდა. გამარჯვებული ტიერი ატყობინებდა პრეფექტებს: „....პარიზის მიწა მოფენილია მკვდრებით. ეს საშინელი სანახაობაა, იმედი უნდა ვიქონიოთ, გაკვეთილი იქნება ინსურგენტებისათვის, რომლებმაც გაბედეს და თავი გამოაცხადეს კომუნის მომხრეებათ.

ბურჟუაზიული პრესაც კი შეაძრწუნა „სისხლიანი კავშირის“ საშინელებამ. „კმარა სიკვდილით დასჯა, კმარა სისხლი, კმარა მსხვერპლი!“—სწერდა „National“.

მაგრამ ლმობიერების ეს ხმები გაისმა გვიან, როცა ბურჟუაზია გაძღა სისხლით: ტიერის გენერლებს სიცოცხლეს გამოსალმებული ჰყავდათ 30.000-დე კაცი.

შემდეგ კი, როცა ბურჟუაზიამ თავისი შურისძიება „კანონიერ“ ფარგლებში ჩააყენა, 40-45.000 კაცს მიუსაჯეს ხანგრძლივი ვადით დაპატიმრება, 13.000-ს—სხვადასხვა სასჯელი, მრავალი ათასი კომუნარი ემიგრანტი გახდა.

**ნ. რ.**

ბიბლიოთეკა

# თებერვლის რევოლიუციის 13 წ. თავი

## მონარქიის გადარჩენის ცდები

### ზევიდან გადატრიალების მოხდენის გეგმები

რევოლიუციამ გახსნა კლიტულები, სადაც ინახებოდა ბევრი დოკუმენტები, რომლებიც ახასიათებენ მომაკვდავი მონარქიის უკანასკნელი წლების პოლიტიკას. ამ დოკუმენტებს შორის შესაძლოა, ყველაზე საინტერესო იყოს ისინი, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ ამაოთ სცდილობდენ რევოლიუციის მოახლოვებით დაშინებული მონარქიული წრეები დინასტიისა და მასთან ერთად თავიანთი ბატონობის გადარჩენას. ეს ცდები იწყება იმ დროიდან, როცა საბოლოოდ გამოირკვა, რომ რუსეთი, ისე, როგორც იაპონიასთან ომის დროს, მოუმზადებელია და შესაძლოა ჩქარა დაჰყაროს იარაღი ავსტრია-გერმანიის არმიების იერიშების ზეგავლენით. დამარცხებები ფრონტზე და შინაგანი ეკონომიური კრიზისი აძლიერებენ რევოლიუციონური განწყობილებას მასებში, რაც შიშის ზარს გვრიდა, როგორც მემამულეებს, ისე ბურჟუაზიას. უკანასკნელი (ბურჟუაზია) მზად იყო თვითმპყრობელობის მხრივ მცირეოდენი დათმობების სამაგიეროდ, გაემაგრებია მეფის შერყეული ტახტი. მაგრამ ნიკოლოზ მეორეს და მის გარშემო შემოკრებილ მმართველ ჯგუფებს ჟრუანტელს გვრიდა სიტყვა „კონსტიტუციას“ ხსენებაც კი. რევოლიუციის თავიდან აცილება ამ წრეებმა განიზრახეს არა დათმობების, არამედ მონარქიული დიქტატურის და პარლამენტის იმ ნიშანწყალის მოსპობის გზით, რომელიც სახელმწიფო სალაყბოს სახით არსებობდა.

„იყავ პეტრე დიდი, იოანე მრისხანე, იმპერატორი პავლე—გაანადგურე ყველა ისინი“ (ე. ი. სახ. სათათბირო),—ასე ჩასჩინებდა თავის ქმარს ალექსანდრა ფეოდოროვნა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ხვოსტოვმა, რომელმაც ალექსანდრა ფეოდოროვნას დახმარებით მიიღო თავისი პოსტი, სახ. სათათბიროს ლიკვიდაციის ვრცელი გეგმა შეადგინა. ეს გეგმა, მართალია, არ ითვალისწინებდა სახ. სათათბიროს პირდაპირ გაუქმებას, მაგრამ შეიცავდა ისეთ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებას შედეგად უნდა მოჰყოლოდა უკიდურეს მემარჯვენეთა გაძლიერება მეხუთე სახ. სათათბიროში და სახელის გატეხა სახ. სათათბიროსათვის, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოსათვის. ამ ღონისძიებების გასატარებლად სპეციალური ფონდიც კი იქნა გამოყოფილი—5 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ხვოსტოვის მიერ შემუშავებული ღონისძიებების გატარება დაწყებული არ იყო, როცა გენ. ალექსეევმა შეიმუშავა სამხედრო დიქტატურის შემოღების გეგმა, მაგრამ ნიკოლოზი შეაშინა დიქტატურის გამოცხადების პერსპექტივამ: მან იფიქრა, რომ ვინმე მოინდომებს მის შეცვლას დიქტატურის როლში და ამიტომ ხელი აიღო ამ განზრახვაზე.

პარალელურად მუშავდებოდა დინასტიის გადარჩენის და რევოლიუციისგან თავის დაღწევის სხვა გეგმები. სენატორ რიმსკი-კორსაკოვის ჯგუფი წინადადებას იძლეოდა: გაერეკათ სახ. სათათბირო, გადაეთვალიერებიათ კონსტიტუცია იმგვარად, რომ არა თუ სახ. სათათბიროსათვის არამედ სახ. საბჭოსათვისაც ჩამოერთვათ საკანონმდებლო ფუნქციები, დაეხურათ მთელი მემარცხენე და საერთოდ ლიბერალური პრესა, სახ. სათათბიროს სამხედრო ვალდებული წევრები გაეგზავნათ ფრონტზე, მოეხდინათ ფაბრიკა-ქარხნების მილიტარიზაცია და სხვ. ტახტის გადასარჩენად და რევოლიუციასთან ბრძოლაში ხელის გასახსნელად ლაპარაკობდენ სეპარატიულ ზავზე ავსტრია-უნგრეთთან და ზოგიერთი ნაბიჯებიც კი გადაიდგა ამ მიმართულებით „ნიადაგის მოსასინჯავად.

როგორც მკითხველი შენიშნავდა, ყველა ზემოთდასახელებულ გეგმებში ლაპარაკია საერთოდ ტახტის გადარჩენაზე. ახლა ჩვენ შევეხებით მეორე სახის გეგმებს, რომლებიც მიზნად ისახავდენ მონარქიის „გაახალგაზრდავებას“ პიროვნებათა შეცვლის გზით.

აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ე. წ. „საზღვაო გეგმა“, რომლის პირველი ვარიანტით რომელიმე სამხედრო გემზე უნდა გაეტყუებიათ ალექსანდრა ფეოდოროვნა, წაეყვანათ ის ინგლისში და ამრიგად ნიკოლოზ მეორე გაენთავისუფლებიათ მისი „გავლენისაგან“. ამავე გეგმის მეორე ვარიანტით, სამხედრო გემზე უნდა გაეტყუებიათ თვით ნიკოლოზ მეორე, იძულებული უნდა გაეხადათ ის ხელი აელო ტახტზე და იმპერატორად გამოეცხადებიათ ტახტის მემკვიდრე ალექსი.

არსებობდა აგრეთვე მეორე მსგავსი გეგმა, რომელიც გამომდინარეობდა სამხედრო წრეებისგან (გენ. კრიმოვი, რუზსკი, ბრუსილოვი და სხვ.). შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ ცარსკოე სელოსა და მთავარ ბანაკს შუა დაეკავებიათ მეფის მატარებელი და იძულებული გაეხადათ ნიკოლოზი გადამდგარიყო თავისი შვილის სასარგებლოდ და რეგენტად გამოეცხადებია თავისი ძმა მიხეილი. გენ. დენიკინის მოწმობით, თუ ნიკოლოზი არ დასთანხმდებოდა გადადგომაზე, განზრახული იყო მისი მოკვლა.

საინტერესოა, რომ ამგვარსავე გეგმებს ადგენდენ პროგრესიულ ბლოკის ზოგიერთი წრეები, მაგრამ ისინიც კი ვერ გასცილდებოდენ კონსტიტუციონური მონარქიის ფარგლებს და მიხეილის კანდიდატურას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზევიდან გადატრიალების მოხდენის ყველა ამ ცდებში უახლოეს მონაწილეობას იღებდა ინგლისის საელჩო პეტერბურგში. ინგლისის მთავრობა მიზნად ისახავდა რუსეთის მონარქიის „გაჯანსაღებას“—მისი ბრძოლის უნარიანობის გაძლიერებას. მაგრამ მასების ამოძრავებამ დაამხო ზევიდან გადატრიალების ყველა ხუხულები. გადატრიალება დაიწყო ქვევიდან, მიუხედავად იმისა, რომ ძველი რეჟიმის ყველაზე შორსმჭვრეტელი წარმომადგენლები ათასგვარ საშუალებას მიმართავდენ მის თავიდან ასაცილებლად.

### წყალწაღებულნი ხავსს ეკიდებიან

მაგრამ მაშინაც კი, როცა რევოლიუციის აზვირთებულმა ტალღებმა ფაქტიურად წალეკა თვითმპყრობელობის ტახტი, მონარქიული ბურჟუაზია და მემამულეები უკანასკნელად შეეცადენ, თუ ნიკოლოზის ტახტის გადარჩენა არ შეიძლებოდა, მონარქიული რეჟიმი გადაერჩინათ.

ალბად ბევრის ყურადღებას მიიპყრობდა ის ფაქტი, რომ პსკოვში, ნიკოლოზ მეორისგან გადადგომის მოსათხოვად, სახ. სათათბიროს დროებითი კომიტეტის დავალებით, გაემგზავრენ უკიდურესი მონარქისტები—შულგინი და გუჩკოვი. გაბატონებული კლასები უკანასკნელ მომენტამდე სცდილობდენ ხელიდან არ გაეშვათ ინიციატივა. შულგინი თავის მოგონებებში სწერს: რომ „გადადგომის საქმე უნდა დარჩენილიყო მონარქისტების ხელში მონარქიის გადარჩენის გულისთვისო“. და გუჩკოვიც ამბობდა: „რუსეთს უნდა მივსცეთ ახალი მეფეო“.

მაგრამ ნიკოლოზ მეორემ არ მოისურვა ტახტთან ასე ადვილად გამოთხოვება. მისი შეზღუდული ჭკუისათვის ძნელი შეიქნა გუჩკოვ-შულგინის „შორეული დამიზნების ფილოსოფიის“ გეგმა. ის ხედავდა მხოლოდ ერთ რამეს: რომ მისგან მოითხოვდენ ტახტის დათმობას და ისიც ათასგვარი მანევრით ცდილობდა შეენარჩუნებინა ტახტი. ჯერ იგი შეეცადა დაეშინებია შულგინ-გუჩკოვი პერსპექტივით, რომ მისი გადადგომა „ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს რუსეთზე“, „გამოიწვევს მღელვარებას კაზაკებს შორის“ და სხვ. როცა ყველა ამ „არგუმენტებმა“ არ გასჭრა, ნიკოლოზი ეკითხება შულგინ-გუჩკოვს:

— „ხომ არ გინდათ კიდევ იფიქროთ“,— უკანასკნელი იმედით, რომ ისინი „გონს მოვიდოდნენ“ და უკან წაიღებდნენ თავიანთ მოთხოვნას. მაგრამ ამაოთ: მონარქისტებმა გადასწყვიტეს გაეწირათ ნიკოლოზი, რომ გადაერჩინათ მონარქია. ნიკოლოზი იძულებული შეიქნა ხელი მოეწერა გადადგომაზე, მაგრამ არა შვილის, არამედ თავისი ძმის სასარგებლოდ. გვაქვს საბაბი ვიფიქროთ, რომ ამით (ტახტის გადაცემით „არა პირდაპირი ხაზით“) მას სურდა უკმაყოფილების გამოწვევა მონარქისტულ წრეებში, რომ გაეადვილებია ტახტის დაბრუნება თავისთვის.

## კერენსკი „იმპერატორ მიხეილ“ I-თან

ამრიგად, რუსეთი განთავისუფლდა ნიკოლოზ მეორის და სახ. სათათბიროს კომიტეტის (ამ კომიტეტში შედიოდენ ჩხეიძე, წერეთელი, კერენსკი და სხვ. „სოციალისტები“) ლოცვა-კურთხევით მიიღო მეორე მეფე—„იმპერატორი მიხეილ I-ლი“. მაგრამ ამ დროისათვის რევოლიუციამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ მონარქიის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. როძიანკოც კი საჭიროდ სცნობდა მიხეილის გადადგომას. მიუხედავად ამისა, მთავრობამ, რომელშიც შედიოდა „სოციალისტი“ კერენსკი საკითხის გადაწყვეტა მიანდო თვის მიხეილს. ამრიგად, თუ მიხეილი დასთანხმდებოდა მეფობაზე, „სოციალისტი“ კერენსკი მზად იყო მხარი დაეჭირა მისთვის, მიუხედავად იმისა, რომ რევოლიუციონურ მასებს ეს საკითხი გადაწყვეტილი ჰქონდათ.

— ძირს მონარქია!—ასეთი იყო მათი ლოზუნგი.

## კერენსკი ელოლიავება ნიკოლოზ მეორეს

ნიკოლოზ მეორე გადადგომის შემდეგ გადაიყვანეს ცარსკოე სელოში, სადაც იგი ჩვეულებრივ ატმოსფერაში, იუნკრებით და თავის ახლობლებით გარშემორტყმული, ოცნებობდა დაკარგული ბატონობის დაბრუნებაზე. თითქმის „რევოლიუციონურ“ მთავრობის იუსტიციის მინისტრს შესაფერისი ადგილი უნდა მიეჩინა მილიონ მებრძოლთა ჯალათისა და სისხლის მსმელ თვითმპყრობელისათვის. ამის მაგიერ ნიკოლოზი მოათავსეს თავისივე სასახლეში, სადაც მასთან თავისუფალი კავშირი ჰქონდათ სხვადასხვა მონარქისტულ წრეებს, რომლებიც ნიადაგს ამზადებდენ რესტავრაციისათვის. ამავე დროს დემოკრატიის „მძევალმა“ დრ. მთავრობაში—ა. კერენსკიმ „დაივიწყა“ მეფის არქივის ჩამორთმევა და ნიკოლოზმა შესძლო ბევრი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების განადგურება. თავის დღიურის იმ ნაწილში, რომელიც ცარსკოე სელოში პატიმრობის ხანას ეკუთვნის, ნიკოლოზი რამდენჯერმე აღნიშნავს: „წესრიგში მომყავდა და ვწვავდი საბუთებს“, „განვაგრძობდი საბუთების წვას“. ნიკოლოზმა ღირსეულად შეაფასა კერენსკის ასეთი „გულმავიწყობა“ და შემდეგ თბილი სიტყვებით მოიხსენია თავის დღიურში: „ახლანდელი იუსტიციის მინისტრი ფრიად გულთბილი კაცი არისო“.

## კერენსკი გაქცევას უმზადებს ნიკოლოზს.

როცა მონარქიის გადარჩენის უკანასკნელი იმედები გაქრა, მონარქისტებმა მიზნად დაისახეს ნიკოლოზის გადაყვანა საზღვარგარეთ იმ მიზნით, რომ შეენარჩუნებიათ მონარქიის დროშა. დროებითი მთავრობა და, მათ შორის, იუსტიციის მინისტრი ა. კერენსკი ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ამ განზრახვის განხორციელებას.

„დროებითი მთავრობამ იკისრა პასუხისმგებლობა მეფისა და მისი ოჯახის უშიშროებისათვის. ამ ვალდებულებას ჩვენ ბოლომდე შევასრულებთ. მე თვით გავაცილებ მას მურმანსკამდე“-ო,—განაცხადა კერენსკიმ.

პეტროგრადის ესერულ-მენშევიკური უმრავლესობა, რომელმაც იცოდა, რომ არსებობს მეფის ინგლისში გაყვანის გეგმა, ითმენდა ყოველივე ამას. უფრო მეტი, მმართველობის ფორმის საკითხის გადაჭრის გადადებით (დამფუძნებელი კრების მოწვევამდე), ესერ - მენშევიკები ხელს უწყობდნენ კონტრ-რევოლიუციის მობილიზაციას მონარქისტული რესტავრაციისათვის.

მაგრამ მასებს არ ეძინათ. ისინი მოთმინებიდან გამოიყვანა მეფის თავისუფალმა ცხოვრებამ ცარსკოე სელოში და მათი ზეგავლენით პეტროგრადის საბჭომ კატეგორიულად მოითხოვა მეფის გადასახლება ციმბირში. მეფე თავისი ოჯახით ტობოლსკში გადაიყვანეს, საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ კი სვერდლოვსკში (ეკატერინობურგში).

## უკანასკნელი მეფის უკანასკნელი დღეები.

მიუხედავათ იმისა, რომ ურალის საოლქო საბჭომ მკაცრი ზომები მიიღო, კონტრ-რევოლიუციონერებმა შესძლეს კავშირის გაბმა ნიკოლოზთან.

„მეგობრებს აღარ სძინავთ და იმედოვნებენ, რომ ნანატრი საათი დადგა“.

„განთავისუფლების საათი ახლოვდება და უზურპატორების დღეები დათვლილია. სლავიანთა არმიები უფრო და უფრო უახლოვდებიან ეკატერინობურგს. მომენტი კრიტიკული ხდება. საჭიროა მოქმედება“.

ასეთი ბარათები მოსდიოდა ნიკოლოზს სხვადასხვა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციებისაგან. როცა გამოირკვა, რომ სვერდლოვის დაცვა ჩეხო-სლოვაკებისაგან შეუძლებელია, ურალის საოლქო საბჭომ გამოიტანა რომანოვების დახვრეტის დადგენილება, რომელიც სისრულეში იქნა მოყვანილი 1918 წელს 18 ივლისს.

ე. წ.

---



გ. პ. ი—ს სტუდენტები პრაქტიკაზე თბ. მაუდის ფაბრიკაში.

## მუშათა საცხოვრებელი სახლები



ზაჰესის და რიონჰესის შემაერთებელ ხაზზე, სურამის უღელტეხილზე და სხვა პუნქტებში აშენდა მუშა-მოსამსახურეთათვის საცხოვრებელი ახალი სახლები.

# მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მატარებელში

საღამოს შვიდი საათია. თებერვლის ცა და ნიავი სუსხავს ყველაფერს. ადამიანებს ძარღვებში სისხლი ეკუმშება და ელექტრო შუქზე მოსჩანს მათი ლალურჯებული სახეები. მატარებელი ერთი მძლავრად აყვირდა, აქშინდა და ზლაზვნით დაიძრა სადგურიდან. ზლაზვნა მალე სირბილით იცვლება და უკან რჩება თბილისიც.

ლიანდაგზე ხრიალებს ბორბლები და ხმაური ვრცელდება სივრცეში. ვაგონები სავსეა სხვა და სხვა პროფე.იის მგზავრებით. ვინ იცის, ვინ სად მიდის. მე კი, ერთი მგზავრთაგანი, ქუთაისში შევწყვეტ მატარებლით სვლას, შემდეგ საოლქო კომიტეტში შევირბენ, მივიღებ საჭირო ცნობებს და შემდეგ, როგორც ბრიგადელს, ადგილებზე მომიხდება მუშაობა. კოლმეურნეობის ფრონტზე უნდა დავეხმაროთ გლეხობას. ამ ფიქრით ვწვები ვაგონში ერთერთ საწოლზე და თვალებს ვაჩერებ მტრედის ფერ ჭერზე. ვაგონში საუბრები და ხმაურია. მე აქ ერთი ნაცნობიც არ გამაჩნია და ისევ ჩემს პატარა ჩემოდანიდან ვიღებ [თბილისში შეძენილ ერთერთ ბროშურას და კითხვას ვიწყებ. გადაწყვეტილი მაქვს: - მის კითხვას მოვრჩები გზაში.

## საოლქო კომიტეტში

საღორიის მაღლობებმა ოქროს ფერი ალიონი მოისხა. ფერმკრთალი ვარსკვლავები შეუმჩნევლად იკარგება ცის სიღრმეში. ქვემო იმერეთის დაბლობზე ნისლი ბინადრობს და ზღვიდან წამოსული სიო ათამაშდა მინდვრებში. ჩვენი მატარებელი ხრიალით მიჭქრის რიონის მარცხენა ნაპირზე და შემდეგ ნელი სვლით შედის ქუთაისის სადგურში.

ჯერ ადრეა... ისევ აქ უნდა დავიცადო.

დილის ათ საათზე ს. ა. ლ. კ. კ. ქუთაისის საოლქო კომიტეტში შევდივარ. აქ, რემინგტონზე მომუშავე ერთი ქალისა და აგიტ-პროპ ორგანიზატორის მეტი თითქმის არავინ მხვდება.

— რაშია საქმე. რატომაა თქვენი სამუშაო განყოფილებები დაცარიელებული?—ვეკითხები აგიტპროპ-ორგანიზატორს ამხ. ცირეკიძეს და თან ჩემი მოსვლის მიზეზს ვაცნობ.

— ძალიან კარგი.—ამბობს იგი და სკამზე მოუსვენრად ირხევა.

— ჩვენი ოლქიდან,—განაგრძობს ის,—ექვსი რაიონი გამოცხადებულია მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებათ. ესენია: - ქუთაისისა, ხონისა, სამტრედიისა, ვანისა. ბაღდათისა და ზესტაფონის, ამიტომ, ჩვენს ძალებს მობილიზაცია ვუყავით და ყველა ადგილებზეა დაგზავნილი. კოლმეურნეობებში სამუშაოდ. იქ დიდი ამბები ხდება. მთელი რიგი სოფლები გადავიდენ და გადადიან მთლიან კოლექტივიზაციაზე. კულაკებს რაიონებიდან ასახლებენ. საქმის მსვლელობა კარგია.—მე გამოუთქმელ სიხარულით ვივსები და გაბრწყინვებულ თვალებით ვუცქერი მის ყოველ მოძრაობას.

— თქვენ საით ირჩევთ წასვლას?—მეკითხება ბოლოს იგი.

— საით აჯობებს.

— სულ ერთია.—თუნდ ხონის რაიონში წადით. იქ არიან ჩვენი ბიჭების უმრავლესობა.—მე უსიტყვოდ ვეთანხმები. კიდევ ვაგრძელებთ საუბარს.

დღის სამ საათზე კი, ავტო ხონისკენ მიმაქროლებდა.

## ქუთაის—ხონის შარა გზიდან

გზიდან საუცხოვო სანახაობებია. ხალიჩასავით დაფენილი მინდვრები, სიგრძით ათი კილომეტრის მანძილზე იშლება დასავლეთისკენ. შემდეგ, შორს სანაპიროებზე მოსჩანს სოფლები, შიშველ ხეებითა და იმერულ პატარა ოდებით. ამ მინდვრებს აქ „ოშიში“-ს ეძახიან. წინად იგი ყაჩაღების საბუდარი ყოფილა და მასზე გავლა მგზავრებს შიშის ქვეშ უხდებოდათ. დღეს მინდვრებში აქა იქ აღმართული წითელი დროშები მოსჩანს. ფართობი ნახევრად დახნულია. აგერ წითელი ჯარის ნაწილები, ცხენებითა და გუთნებით, გლეხებთან ერთად მინდვრებს შესევიან და ნიადაგის ქვედა პირს, მზისა და ცის საჯიჯითოდ ხდიან. მე გაკვირვებული გავყურებ ყოველივე ამას, და შემდეგ ასევე გაკვირვებული შევსცქერი ჩემს გვერდით მჯდომ რომელიმე მგზავრს.

— თქვენ ამხანაგო, ეტყობათ ამ მხარეში უცხო უნდა იყოთ.—მეუბნება ერთი მგზავრთაგანი, რომელიც გაცრეცილ რუსულ ფარაჯაშია გახვეული და თავი ხონურ შალის ყაბალახით აქვს წაკრული.

— არც ისე.—ვეუბნები მე. აქეთ ორი წლის წინად ვიყავი, მაგრამ ამ მინდვრებში ეს წითელი დროშები, გლეხების გვერდით მომუშავე ჯარის ნაწილები და არც ასე ნაადრევი ხვნა არ მინახავს.

— ორი წელი!.. დიდი დროა. შემდეგ ბევრი რამ მოხდა:—კოლექტივებზე გადასვლა და ვინ მოთვლის კიდე რა... აი, ეს დროშები, კოლექტივების მიწებს საზღვრავს, მაგრამ ეს საზღვარი დღეს საჭირო არ არის. სოფლები მთლიანად გაერთიანდენ კოლექტივებში და ვიწრო საზღვრებიც ისპობა. დროშებით მაშინ ფარგლავდენ მიწებს, როცა რომელიმე სოფლიდან ორმოცი თუ სამოცი კომლი ერთიანდებოდა კოლექტივში. ეხლა ამ მხარეს რომ უცქერი, მთლიანი კოლექტივიზაციის მხარეა. მე აღტაცებით ავსებული, ხელებს მოუსვენრად ვასავსავებ და არ ვიცი რა ვთქვა. გავყურებ სივრცეს და ავტო აგრძელებს გზას.

— მთლიანი კოლექტივიზაციის ქვეყანა.—გამიელვა ფიქრმა.

— თუ ასეა, სალამი და გამარჯვება ამ მხარეს.—ვამბობ უსიტყვოდ და სახე გახსნილი გავყურებ მთლიან კოლმეურნეთა სოფლებს და მათ სასარბიელო ველ-მინდვრებს.

## მთლიანი კოლექტივიზაციის თემი

ხონის პარტკომის მდივნთან შეთანხმების შემდეგ მუშაობის გაშლა გუბის თემში მომიხდა. საღამოს ხანი იყო, როცა აქ მივედი. ნასადილრალში სათემო მასიური კრებაა. დარბაზში ტევა არ არის. გლეხობის ნაწილი გარეთაა და ღია კარებიდან ისმენს დარბაზში თქმულს. ტრიბუნაზე ახილგაზრდა პარტიული ამხანაგი კუთხულობს მოხსენებას. გლეხების ცნობით, იგი რაიონულ კომიტეტიდანაა მოსული. მის გვერდით ხუთამდე კაცი ზის. ისინი სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებია. ორატორის სიტყვები რიხით იშლება დარბაზში და ყველა სმენა გამახვილებით უსმენს მას. იგი ეხება კოლმეურნეობათა მშენებლობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

— ამ გვარად ამხანაგებო,—ასრულებს ორატორი,—დღეიდან გუბის თემი, თქვენი მოთხოვნით, მთლიანი კოლექტივიზაციის თემია.

— გაუმარჯოს თქვენს ძმურ კავშირს ამ რთულ სამუშაოთა ფრონტზე.—მომხსენებლის სიტყვებს გლეხობის მხურვალე ტაში ფარავს. დარბაზში ასეულ მშრომელთა სახე იღიმება და ამდენივე წყვილი თვალი გაბრწყინვებული კრილებს. ქალები, ბავშები და მამაკაცები ერთმანეთის სიხარულს ინაწილებს. ყველა ერთად, ორატორის სიტყვასა და აღტაცებას.

რამდენიმე შეკითხვისა და განმარტებების შემდეგ, კრება იშლება.

— მართლაც დიდი ცვლილება ხდება, დიდი გარდატეხა.—ვამბობ მე და სუნთქვა გახშირებული, ვუყურებ გემის იალქნებივით მოძრავ გლეხობას.

— წინად ეს ხალხი, ერთი მტკაველ მიწისთვის ერთმანეთს ეჩხუბებოდა, ერთმანეთს მტრობდა... დღეს კი:

— მთლიანი კოლექტივიზაცია. - მართლაც დიდებული საქმეა, ვიმეორებ მე და იქვე გლეხობის მოსაუბრე ჯგუფში ვერევი.

## გლეხის ოჯახში

ღამის გათევა ერთ ღარიბ გლეხის ოჯახში მომიხდა. ჩემი მასპინძელი სერგო შედარებით შეგნებული და თან გულკეთილი კაცი აღმოჩნდა. მან ამხანაგურად მიმიღო და ბევრი რამ მიამბო თემის განვლილ ცხოვრებიდანაც.

აქ საგაზაფხულო თესვის კამპანია გასული წლის დეკემბერში დაწყებულა. ამ კამპანიას დაკავშირებია მთლიანი კოლექტივიზაციის საკითხიც. პირველ ხანებში ოთხმოცამდე კომლი გაერთიანებულა კოლმეურნეობაში. მაგრამ მიმდინარე წლის იანვრიდან, მას, პარტიის სწორი ხელმძღვანელობით მასიური ხასიათი მიუღია.

— დღეს კი ჩვენი თემი მთლიანი კოლექტივიზაციის თემია,—მეუბნება ჩემი მასპინძელი და წელგამართული მიცქერის.

— ეს, მთლიანად გლეხობის სურვილი იყო. თუ..

— დიახ გლეხობის.—მაწყვეტინებს სიტყვას იგი.—ეს საკითხი პირველად ღარიბთა შორის გაირჩა, შემდეგ საშუალო გლეხობასთან ერთად, და ყველგან ერთხმად გამოთქვამდენ მთლიანი კოლექტივიზაციაზე გადასვლის სურვილს.

— კულაკები თუ ამღვრევდენ წყალს.

— ისინი და ზოგიერთი მერყევი პირები დამცინავი ღიმილით უყურებდენ ჩვენს საქმეს. ფარულად კიდეც ცდილობდენ მის ჩაშლას. მაგალითად ხონში მტრული პროკლამაციებიც კი გამოუშვეს. კუხის თემში ერთმა კულაკმა კოლექტივის დროშაც კი დახია, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. დღეს ისინიც ცდილობენ კოლექტივში შემოსვლას, მაგრამ ვერ მიართვეს.

— მაშ, რას უშვრებით?

— კულაკებს გადავასახლებთ. სხვებს კოლექტივის გარედ დავტოვებთ.—ეს, ისე დაჯერებით სთქვა მან, რომ არ შეიძლებოდა კაცს არ ეგრძნო მისი გულწრფელობა.

## მეორე დღეს

დილით თემ-აღმასკომში შევიარე. აქ ჩამოყალიბებულია საგაზაფხულო თესვის სამეული, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს მთლიანი კოლექტივიზაციის მსვლელობას.

— როგორაა საქმე. — ვეკითხებოდი თემ-აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. იოსებ გორდაძეს. მე მას მანამდეც ვიცნობდი და ამიტომაც დღეს, ჩვენ სრულიად თავისუფლად შევხვდით ერთმანეთს.

— ძალიან კარგად.—მეუბნება იგი. მაგრამ თქვენ აქ... როგორ!

— კოლმეურნეობებში სამუშაოდ და გასაცნობათ.

— კეთილი.

— სხვა!..

— ალბად იცით.—ასეთივე მდგომარეობაა სხვა სოფლებში და მთლიანად ხონის რაიონში. დღეს აქ გლეხობა დემონსტრაციას აწყობს კულაკობის წინააღმდეგ. ალბათ ბევრ რამეს ნახავთ.—მართლაც გლეხები თემ-აღმასკომის ეზოში ჯგუფ-ჯგუფად იყრიდა თავს, მართავდენ ხმა მაღალ საუბრებს და კამათს.

დღის ორ საათზე მოეწყო დემონსტრაცია დროშებითა და პლაკატებით. პლაკატებს ამშვენებდა წარწერები:

— „ზიზღი კულაკებს“.

— „გაუმარჯოს მთლიან კოლმეურნეობას“, და სხვა...

ნასაყდრალთან მოეწყო მასიური მიტინგი. შესავალ სიტყვის შემდეგ წაკითხული იქნა გადასასახლებელ კულაკების სია. გაიმართა მსჯელობა ზოგიერთ კულაკზე. აქ საბოლოოდ გამოაშკარავდა მათი კულაკური ბუნება და კენჭის ყრის შემდეგ სიაც მიღებულ იქნა.

## საგაზაფხულო თესვის კამპანიისთვის



სათესლე ხორბლის მიწოდება.

— ამხანაგებო, — აცხადებს ბოლოს თავმჯდომარე,—ეს ბობოლები, რიცხვით შვიდი, თქვენი გადაწყვეტილებით, ოცდაოთხ საათში დატოვებს გუბის თემს და ჩვენს რაიონს.

— სჯობს უფრო ადრეც გავიდნენ. — იყო ხმები ადგილიდან.

მიტინგი დაიშალა. ორღობეებს აფხიზლებდა ოჯახებისაკენ მიმავალ გლეხთა ჯგუფური საუბრები. სოფელი ხალისიანობდა. მხოლოდ აქა იქ, კულაკთა ეზოებიდან ისმოდა ღვარძლიანი გინება და დამარცხებულ მტრის მოთქმა-ტირილი.

## ერთად სამუშაოზე

— დღეს მთელი სოფელი პირველად ერთად გადავდივართ მინდვრებში სამუშაოდ.—მეუბნება დილით ჩემი მასპინძელი სერგო. — თქვენც წამოდით, კარგი სანახაობა იქნება.—მეც თანხმობას თავის რხევით უცხადებ. მოვეწყვეთ და გავსწიეთ კოოპერატიულ დუქნისაკენ, სადაც გლეხებს უნდა მოეყარათ თავი. მართლაც აქ მთელი გლეხობა დაგვხვდა, ურმებით, გუთნებით, ბარებით და სხვა სამეურნეო იარაღებით. ერთ-ერთ ურემზე აღმართულია წითელი დროშა. არის ლოდინი. დაგვიანებულები ჩქარი ნაბიჯით უერთდებიან მათ.

— მგონი, ამხანაგებო, ყველანი ვართ.—დაიძახა ვილაცამ.

— თითქმის ყველანი.—იყო ხმები.

— მაშ წავიდეთ.

— წავიდეთ.—მიაძახეს სხვებმაც და ყველა ერთად სიმღერითა და ჟრიამულით დაიძრენ მინდვრებისაკენ. წინ ფრიალებდა წითელი დროშა.

დღე იყო მზიანი. ღამით ჩამოწოლილი ნისლი თანდათან ქრებოდა სივრცეში. აქა იქ ტყეებიდან ისმოდა ბავშების დაბალი ხმა.

ადგილზე მისვლისას, გლეხებმა მოიხსნეს ფარაჯები, „ტუჟურკები“, მოეწყვენ, გაინაწილეს საქმე და შეუდგენ მუშაობას. მუშაობა გავდა გაშლილ ფრონტით იერიშის მიტანას, რომელიმე მტრის წინააღმდეგ.



კოლექტივის წევრები მინდვრად სამუშაოზე.

აყარეს სანგრები, რომლითაც ისაზღვრებოდა მიწის კერძო საკუთრება. ცეცხლის ალს მისცეს ძიგვები და გააერთიანეს რამდენიმე ჰექტარი საყანე ადგილი. გუთნებს მიეცათ ფართო სარბიელი და ბელტებით გადააშავეს მიწის ზედაპირი. გადიდება იწყო სათესი ფართობმა. მინდვრები მოზეიმე მოედნებს დაემსგავსა.

## ქალთა შორის

კოლმეურნეობათა მშენებლობაში არც ქალები ჩამორჩენ. ისინიც აკავშირებენ შრომას. მათი საყვარელი საქმეა მებოსტნეობა და მეაბრეშუმეობა და სწორედ აქ იშლება მათი მოქმედების ასპარეზიც, გამონახეს ბოსტნებისათვის გამოსაყენებელი ადგილები და შეუდგენ მუშაობას. ადგენენ გეგმებს აბრეშუმის მოვლა განვითარებისათვის და სხვა. აქ აღსანიშნავია ასეთი ფაქტი:—გლეხი ქალები, რომლებიც კერძო მეურნეობის ნიადაგზე წაჩხუბებულან და ხმას არ სცემდენ ერთმანეთს, დღეს თავის თავად შერიგდენ.

—დაია, ბოსტანი ერთად უნდა დევითესოთ, აბრეშუმი ერთად უნდა დევიჭინოთ და რაღა გვარგია ერთმანეთზე შავი თვალით შეხედვაო.—ამბობენ ისინი. აქედან ცხადია, კოლმეურნეობა, ეკონომიურ პირობებთან ერთად, რა დიდ ცვლილებას ახდენს ყოფა-ცხოვრების სფეროშიც.

## შენიშვნის სახით

ჩვენ გუბის თემზე საგრძნობლად შევჩერდით. ეს, იმას არ ამტკიცებს, თითქოს მარტო ეს თემი ატარებდეს ზემოთ თქმულ თვისებებს. მე ეს სამი კვირის განმავლობაში, მთელ რიგ სოფლებში მიხდება მუშაობა და ყველგან ასეთ სურათს ვხედავ. თუმცა მათ საკუთარი წვრილმანი დეტალებიც გააჩნია, მაგრამ საერთო ფონზე, ერთნაირი შინაარსი და სახე მჟღავნებდა.

გუბი, კუხი, გოჩა-ჯიხაიში, ივანდიდი, ცხუნკური, მათხოჯი მთლიანი კოლექტივიზაციის თემებია.

გლეხები ერთსულოვნად ებმებიან ამ დიდ საქმეში და თავისთავზე იღებენ მასზე პასუხისმგებლობას. ებრძვიან ყოველგვარ დაუდევრობას და ცდილობენ:—არ შერცხვენ ხელისუფლებისა და ერთმანეთის წინაშე.

გაუმარჯოს ჩვენს საქმეს და ჩვენს დაწყებას. —ამბობენ ისინი.

— მართლაც და მკითხველო, სალამი და გამარჯვება მათ.

**გიორგი კაჭახიძე.**



107 ზარი წონით 12,162 კგრ. ჩამოიხსნა თბილისის ეკლესიებიდან და გადაიგზავნა სადნობ ქარხანაში სამეურნეო იარაღებზე მოსახმარებლად.

# მხატვრობა და თანამედროვეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნ. „პროლეტარულ მწერლობის“ მიერ ჩატარებული ანკეტა ქართულ მხატვრობის შესახებ (№ 1) მეტად დროული გამოდგა. ამ ანკეტამ გამოარკვია რომ, ჩვენში, ხელოვნების სხვა დარგთა შორის, ყველაზე მივიწყებული ყოფილა მხატვრობა.

საქართველოს მხატვართა შემოქმედებაში დღემდის სათანადოდ არ ასახულა ოქტომბრის რევოლიუციის იდეები.

ქართველ მხატვართა საზოგადოებას ხელი არ მოუმართავს მხატვრობის თანამედროვეობასთან დაახლოვებისათვის.

მხატვრობას ჩვენში დღემდის არ ჰქონია გამორკვეული თავისი ამოცანები.

უკანასკნელ დროში არ მომხდარა გადახალისება სამხატვრო აკადემიის მუშაობაში.

ამ ანკეტაში მონაწილე ყველა ავტორები ერთხმად აღნიშნავენ რევოლიუციონურ პროლეტარულ მხატვართა ასოციაციის დაარსების საჭიროებას ჩვენში.

როდესაც მწერლები და მხატვრები ქართული მხატვრობის ასეთ ჩამორჩენილობას აღნიშნავენ— გასაგებია, მაგრამ როდესაც ამასვე იმეორებენ ისინი ვის ხელშიაც იმყოფებოდა მხატვრობის ბედი მრავალი წლების განმავლობაში, უკვე გაუგებრობას იწვევს.

განსაკუთრებულ გაუგებრობას იწვევს ქართველ მხატვართა საზოგადოების თავმჯდომარის განცხადება, რომელიც საზოგადოების უმოქმედობას „ობიექტიურ პირობებს“ აბრალებს.

ჩვენ არ დავასახელებთ „სუბიექტიური პირობები“-დან გამომდინარე მრავალ მიზეზებს, რადგან თვით ანკეტის ავტორი ალბად თავის და უნებურად ამ საქმეს უკეთ ამჟღავნებს თავის განცხადების უკანასკნელ ნაწილში. მხატვრობის შესახებ თავის მოსაზრებებს ასე ამთავრებს:

„საჭიროა გამოყენებითი დარგების (მხატვრობაში) გაძლიერება, მხოლოდ ეს გამოყენებითი ხელოვნება ცალმხრივად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ „გამოყენება“ შეგვრჩეს და ხელოვნება კი დაგვეკარგოს“ გამოდის რომ, გამოყენებითი ხელოვნება, ხელოვნება არ ყოფილა. ჩვენ არ დავარწმუნებთ ავტორს, რომ თუ გამოყენება შეგვრჩა ამით ხელოვნებაც თავის თავად შეგვრჩება. არ დავარწმუნებთ იმიტომ რომ მას ხელოვნება წარმოუდგენია რაღაც „მზეთუნახავად„ და არა იდეოლოგიური ზეგავლენის ერთერთ იარაღად. ასეთი შეხედულება, არაა პიროვნული თვისების: გარკვეული მსოფლმხედველობის შედეგია და დამახასიათებელი მთელი სოციალური ფენისა. ერთი ცხადია: ეს სოციალური ფენა ეკუთვნის ძველ მსოფლმხედველობას და დრომოჭმულ კლასებს.

ჩვენს პირობებში თუ მხატვარი არ ეხმაურება სოციალურ მოვლენებს, არ მონაწილეობს მასში—რჩება უპასუხისმგებლოდ და მისი მუშაობა უმიზნო და უნაყოფოა, ასეთმა მხატვარმა თუნდაც რომ მოისურვოს ემსახუროს წარმოებას ან სახვითი ხელოვნებას, მაინც მიუღებელი იქნება თანამედროვეობისათვის. წმინდა ინდივიდუალისტური მხატვრული პრინციპებით მოქმედება და შემოქმედება მოკლებულია ყოველგვარ ღირებულებას, რადგან ჩვენ ვიმყოფებით კოლექტიური აზროვნების ეპოქაში და კოლექტიური საქმე და აზროვნება მუდამ მოითხოვენ შემოქმედების ობიექტიურ მეთოდებს.

ამიტომ მხატვარმა თავისი მუშაობა უნდა შეაფასოს სინამდვილის და სოციალური სარგებლიანობის მიხედვით. ნაწილობრივ განა ასევე არ იყო საშუალო საუკუნოებში, როდესაც ფეოდალური სოციალური წყობილება და მსოფლმხედველობა ურყევად იყო ფესვ-გამდგარი? მაშინ მხატვრები ჰქმნიდნენ იმას, რაც მოსწონდათ თავადებს, აზნაურებს, ვაჭრებს და მღვდლებს.

დღეს საშუალო საუკუნოები არ არის. იცვლება მთელი მსოფლმხედველობა და ცხადია უნდა შეიცვალოს ამ მსოფლმხედველობით შექმნილი ხელოვნება და მისი მეთოდები. ის მხატვრობა, რომელიც სცდილობდა აესახა, რაც შეიძლება ხედმიწევნით გარე მდებარე სამყარო, სულიერი განცდანი და ასტრალური (ანუ ღვთაებრივი) მოჩვენებანი უნდა მიეცეს დავიწყებას ისევე, როგორც წარსული დრონი და წარსული იდეოლოგიები. მისი ადგილი უნდა დაიჭიროს ახალი საშუალებით შექმნილმა სახვითმა ხელოვნებამ და საშუალებებმა. ამ მეთოდებით განვითარებული სახვ თი ხელოვნება საუკეთესო საშუალება იქნება ჩვენი სოციალური ყოფის ან და სოციალურ-იდეოლოგიური ამოცანების გადასაჭრელად.

დღეს არაჩვეულებრივი სისწრაფით ინგრევა ძველი ქვეყანა. მის ნაცვლად შენდება ახალი, ჯერ უხილავი სამყარო. კოლექტიური ნებისყოფის და მანქანური შემოქმედების. თუ ბრჩხილებს გავხსნით ჩვენს თვალწინ გადაიშლება რელიგიების კლასების მათით წარმოშობილი ყოფაცხოვრების და სოციალური ურთიერთობის ნგრევა. თუ კიდევ შორს გავიხედავთ დავინახავთ, რომ ამ ნანგრევებზე აღმოცენდება სულ ახალი ცხოვრება, ახალი ხალხით, ახალი რწმენით და ახალი ურთიერთობით. იშვება ახალი ეპოქა. როგორც ყოველ ეპოქას, ცხადია, ამ ახალ ეპოქასაც ექნება თავისი გემოვნება და ამ გემოვნების გამტარებლად, ისე როგორც ყოველთვის, უნდა გახდეს მხატვრობა. თვითეული ნივთი მოითხოვა თავისებურ სილამაზეს. დღეს რომ ვაშენებთ ათასობით ფაბრიკა-ქარხნებს, საერთო საცხოვრებლებს, ახალ ქალაქებს და მათში მოსათავსებელ მანქანებს და ნივთებს ამ თავისებურ სილამაზით იქნება გაკეთებული. გამოყენებითი მხატვრობა ამ მიმართულებით უნდა გავიგოთ და არა ისე, როგორც ბევრს წარმოუდგენია, მხატვარი გაიგზავნოს, ვთქვათ სამჭედლო ცეხში— მჭედლად. მხატვარმა, რომ შეძლოს მასზე დაკისრებული სოციალური დაკვეთის შესრულება, აუცილებლად უნდა იცნობდეს იმ წარმოებას და იმ მიზნებს, რომელსაც ის ემსახურება. აი ამიტომ ვამბობთ, რომ თუ მხატვარი არ დაუკავშირდა მთელი თავისი არსებით თანამედროვეობას, ისე ვერ **იგრძნობს** და ვერ **დაინახავს** იმ სიახლეს, რომელიც მის **ირგვლივ იქმნება**. დანახვა და **გრძნობა** ეს მთავარი თვისებებია მხატვრული შემოქმედებისათვის.

იმ მხატვარმა, რომელმაც დაინახა და იგრძნო თანამედროვეობა კარგად იცის, რომ დღეს მხატვრობა აღარ არსებობს იმ გაგებით, როგორც ეს იყო თუნდაც ფოტოგრაფიის და კინოს აღმოჩენამდე.

სახვითი ხელოვნების ძველ ამოცანას: გარემოს ასახვას და ასახულის ამოძრავებას გაცილებით უკეთ ასრულებს ფოტოგრაფიის და კინოს მექანიკური ზუსტი საშუალებანი ვიდრე ადამიანის თვალი და ხელი არამექანიკური ხელსაწყოებით.

სახვითი ხელოვნებას ჰქონდა კიდევ მეორე ამოცანა: ეს იყო და არის ფერადული აღნაგობა და ფერების ბიოლოგიური თვისებების შესწავლა. მხატვარის დღევანდელი მუშაობა უმთავრესად ამ მიმართულებით უნდა განვითარდეს და ეს მუშაობა დაუკავშიროს ფოტოსა და კინოს მოქმედებას.

ფოტო და კინო! აი საუკეთესო იარაღი ხილული ბუნების გადმოსაცემად. ეს იარაღი დღეს მხატვრებს არ ეკუთვნის. თანამედროვე მხატვარი, განსაკუთრებით საბჭოთა მხატვარი, უნდა გახდეს მისი მომხმარებელი.

ამ წერილში მხოლოდ ის ზოგადი მომენტები აღვნიშნე, რომლითაც უნდა დაუკავშირდეს მხატვარი თანამედროვეობას. არ შევხებივარ იმ დიდ შემოქმედებით მასალას, რომელსაც ჩვენი ინდუსტრიალური ეპოქა აწვდის საბჭოთა მხატვარს. ამავე დროს გვერდზე დავტოვე ფორმათმშენებლობის ის უამრავი საკითხები, რომელთა გარეშე თანამედროვე მხატვრობაზე საუბარი არ იქნება სრული. ნათქვამიდან ერთი მაინც აშკარაა: ქართული მხატვრობა მეტად ჩამორჩა მხატვრობის საერთო განვითარებას. საჭიროა მისი ძირიან-ფესვიანად გადახალისება. უნდა გაიდევნონ ნეიტრალურ, დიადი წარსულის და „წმინდა ხელოვნების“ მოტრფიალენი. ახალმა მხატვარმა უნდა იგრძნოს თანამედროვეობის სუნთქვა და სიყვარულით დაუკავშირდეს ახალი ქვეყნის ინდუსტრიალურ მშენებლობას. მხატვრობა ფოტოგრაფიულ აპარატშია და არა „ზეშთაგონებაში“. სურათი კინო-ლენტია და არა ტილოს ნაგლეჯი. ნამდვილი მხატვარი ფერების მშენებელია და არა ნივთების მღებავი.

**ბენო გორდეზიანი**

---

# მთლიანი კოლმეურნეობა.

მიჯნა-აყრილ
გაშლილ ველებს
აღარ უჩანს
არსად ზღვარი;
შეჯიბრი აქვთ
მხვნელ-მთესველებს,
არ ილლება
შრომის ჯარი.
ან რა დაღლის,
როცა იცის
მთლათ მისია
მოსავალი
და ვერას დროს
ვეღარ დაჰკრავს
მტაცებელის
ხარბი თვალი.
რად იძუნწებს,
როცა ყველა
გარჯაშია,
ოფლს ღვრის ძმურად,
როცა კერძო
გადითელა
და აშალეს
ღობე სრულად.
აქ ქიტესა
ტრაქტორს უზის
და გუთანს კი
ჰმართავს გივი;
ხალისი და
სიცილი სჩქეფს,
აღარავინ
აღარ სჩივის.
აგერ იქით
გასჭრეს არხი,
აქეთ კიდევ
გზატკეცილი;
როგორც ჩარხი
ბრუნავს ხალხი,
ვილას ახსოვს
წოლა-ძილი.
აგერ კიდევ
ქალთა გუნდი
როგორ უვლის
ბაღჩა-ბაღებს;
ავმღერდი და
ავგუგუნდი,
როს უმზერდი
მხნე, ჯანსაღებს.
რა სჯობია,
ან რა დასძლევს
ერთად გარჯას,
ერთად შრომას;
ვაი მას, ვინც
ხელს შეგვიშლის—
არ ასცდება
ის ჩვენს წყრომას.
რა კარგია,
რა დიადი
კომუნა თუ
კოლექტივი;
მტრისთვისაც კი
გახდა ცხადი,
რა თანხმობის,
ცეცხლი ღვივის.

**ბ. ქუჩიშვილი.**

# დანიელ გ. ჭონქაძე

## (მასალები მისი ბიოგრაფიისათვის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, დანიელ ჭონქაძე ზოგიერთმა კრიტიკოსმა ღირსადაც არ ჩასთვალა, რომ მის მწერლობაზე რაიმე ეთქვა, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა მშრომელთა კლასს, გუშინდელ ყმებს, დაეფასებინათ და შეეყვარებინათ სიცოცხლეში წამებული მშრომელთა დიდი მოამაგე და ბატონყმურ წესწყობილებით გულის სიღრმემდე აღშფოთებული პირველი პროტესტანტი.

„სურამის ციხის" ავტორმა, მარტო მოთხრობა როდი დასწერა, მან ამ პატარა მოთხრობის დაწერით უდიდესი პოლიტიკური როლი ითამაშა. არ იყო პატარა საქმე უბრალო მოკვდავ ადამიანისაგან დაგმობა ბატონყმური წესწყობილების, რომლის საწინააღმდეგოდ ხმის ამოღება ვერავინ გაბედა.

დანიელმა კი გაბედა ეს მეტად ძნელი საქმე და გამოექომაგა ყმებს. დანიელ ჭონქაძეს არ დაუჯდა იაფათ ეს „თავხედობა", მაგრამ ის თავის პირად ტყავს და საფრთხეს ანგარიშს არ უწევდა. აი, ეს არის დამახასიათებელი თვისება დიდბუნებოვან ადამიანის და ამისთვის აფასებენ დანიელსაც.

დანიელ ჭონქაძემ პირველად სწავლა მიიღო ვლადიკავკავის სასულიერო სასწავლებელში, რომლის კურსი დაამთავრა საუკეთესო მოწაფეთ 1845 წელს. ამავე წელს მიღებულ იქნა თბილისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში და 1851 წელს დაამთავრა სასულიერო სემინარიის სრული კურსი. უკვე დღემდე არსებულ ცნობის მიხედვით დანიელის მამის მღვდელ-მისიონერის გიორგი ჭონქაძის ტრაღიკულ სიკვდილის თარიღათ ასახელებენ 1845 წელს, მაგრამ ეს არ არის მართალი. მაგალითად, 1846 წელს 3 სექტემბერს, თბილისის სასულიერო სემინარიის მართველობა იხილავს დანიელის თხოვნას, სადაც ის, როგორც უკიდურესი ღარიბი თხოულობს მის სრულ საეკლესიო ხარჯზე მიღებას და იქ სჩანს, რომ დანიელის მამა გიორგი მაშინ ყოფილა ცოცხალი, მაგრამ შტატს გარეშე დარჩენილი. აღნიშნულ სხდომას დასწრებია: სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ფლავიანე, სემინარიის ინსპექტორი იერომონახი ნიკონი, მღვდელი მაგისტრი ვასილი ტროიცკი და სემინარიის ეკონომი მასწავლებელი ფილოსოფოსი ალექსი გოლოვინი. სხდომა შემდგარა დღის 12 საათზე და სხვა საკითხებთან ერთად ყოფილა განსახილველი მოწაფე დანიელ ჭონქაძის თხოვნა, დაწერილი 1846 წლის 2 სექტემბერს, რომ მიექციათ მის სიღარიბისათვის ყურადღება და მიეღოთ ის სრულ საეკლესიო ხარჯზე.

აქვე მოგვყავს სხდომის ოქმი; Докладывано: Прошение ученика низщаго отделения Семинарии Даниила Чонкадзе от 2 сентября, коим, по совершенной бедности отца своего служившаго долгое время по Осетинской комисии, который ныне находится в заштате Священника Георгия Чонкадзева просит о принятии его на полное церковное содержание.

Справка: праздных полнокоштных Семинарских вакансии состоит налицо 10 должность.

Разсуждено: Так как при семинарии полнокоштный вакансии имеются, то ученика Чонкадзева принять на полное церковное содержание, о чем обявить ему, имя внести в список полнокоштных учеников Семинарии.

ამრიგად უკვე სჩანს, რომ დანიელი მიუღიათ სრულ საეკლესიო ხარჯზე, მაგრამ საჭიროა იმის თქმაც, რომ სანამ დანიელ ჭონქაძეს მიიღებდენ სემინარიაში სრულ საეკლესიო ხარჯზე, მანამდეც ის არ ყოფილა დატოვებული უყურადღებოთ სემინარიის გამგეობისაგან. ეს იქიდან ჩანს, რომ დანიელისთვის 1845 წელს 30 ოქტომბერს მიუციათ სემინარიიდან: ტანისამოსი და ფეხსაცმელი. სემინარიის ძველ საქმეებში ძალიან ხშირად ვხვდებით ცნობებს რადარა სასწავლო ნივთები და ტანსაცმელ ფეხსაცმელები მიულია დანიელს მოწაფეობის დროს. თითქმის ყოველგან ყოველგვარი ნივთების მიღება დასტურდება დანიელის საკუთარი ხელის მოწერით.

საჭიროა ითქვას, რომ სემინარიის გამგეობა სრულ საეკლესიო ხარჯზე მიღებულ მოსწავლეებს არ აკლებდა არც სასწავლო ნივთებს და არც შემოსვას. მაგალითად ერთ ადგილას სწერია, რომ დანიელ ჭონქაძემ ერთი წლის განმავლობაში მიიღო: სამი წყვილი საცვლები, ახალი საზაფხულო სერთუკი, შარვალი და ჟილეტი, კოზირიანი ქუდი და გალსტუკი.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ კვება სემინარიაში არ ყოფილა სასურველ დონეზე დაყენებული. მიუხედავათ იმისა, რომ, საერთოდ, სურსათ სანოვაგე არც ისე ძვირი ყოფილა მაშინ ქალაქ თბილისში. სემინარიის ეკონომის მიერ წარდგენილი მოხსენებები ამავე სემინარიის გამგეობისადმი ნათლად ადასტურებს ზემოდ თქმულს. მაგალითად: პირველი ხარისხის ცხვრის ხორცი ღირდა გირვანქა ერთიდან ერთნახევარ კაპეიკამდე. კარგი ხარისხის ოსური ყველი ფასობდა ფუთი ერთ მანეთი დახ მანეთ ნახევრამდე. 100 ცალი კვერცხი ღირდა ექვსი შაურიდახ ორ აბაზამდე და ასე სხვა და მიუხედავად ამისა, დანიელ ჭონქაძის დროს სრულ საეკლესიო ხარჯზე მიღებულ სემინარიის მოწაფეებს საჭირო და საკმაო კვება არ ჰქონდათ. თითქმის ყოველდღე ლობიო და მუხუდოს სუფი ეძლეოდათ მოწაფეებს სადილათ. ეკონომის მიერ შედგენილ მენიუში იშვიათად შეხვდებით მოხრაკულ კართოფილს ან სოკოს და ზეთის ხილს. ხორცეულობა ხომ იშვიათად ყოფილა სემინარიის მოწაფეთა სასადილოში, ალბათ მოწაფეების „წაწყმენდის" შიშით ხდებოდა ეს და იმისთვის იყო, რომ კმაყოფილდებოდენ მარტო სამარხვოთი. ძალიან იშვიათად, წელიწადში სულ რამოდენიმეჯერ აძლევდენ მოწაფეებს სადილათ თევზს. და, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ეს გარემოება არ ყოფილიყო მთავარი მიზეზი იმის, რომ ავადმყოფობას მოწაფეთა შორის ჰქონდა მასიური ხასიათი. სემინარიის ექიმის მიერ შედგენილ ავადმყოფ მოწაფეთა სია თითქმის ყოველ კვირაში რამოდენიმე ათეულით განისაზღვრეოდა. საბრალო დანიელი კი ყოველთვის გვხვდება ავადმყოფ მოწაფეთა სიაში. როდესაც ეცნობი სემინარიის არქივში ძველ საქმეებს, თითქმის 80-85 წლის წინად დაწერილს, ციმრალული გაწუხებს და უნებლიეთ ამბობ, რა გახწირულათ დაუმონავებია მშვიათი ადამიანი დანიელი ყოველგვარ ავადმყოფობას.

ავადმყოფ მოწაფეთა სიაში თქვენ ნახავთ, რომ დანიელი ყოფილა ავად: გულის ტკივილით, ფილტვების სისუსტით, ჭვალვით, თვალების ახთებით, ფეხის ტკივილით, ყელჭირვებით, ციებცხელებით და ვინ იცის რა და რა ავადმყოფობას არ ასახელებს ექიმი პოპეიკო, რითაც ყოფილა დანიელი სემინარიაში ყოფნის დროს ავად. ძალიან ხშირად არის ნაჩვენები, რომ დანიელს ჰქონია გვერდების ტკივილი ჭვალვის სახით და გულის ფრიალი.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ცუდი კვება, შრომა მოუსვენარი, წირვა-ლოცვაზე სამოთხ საათობით გაუხძრევლად ფეხზე დგომა და აქაც თავგანწირული ერთგულება, უდავოა, ადრე მოტეხდა დანიელს და უდროოდ შეურყევდა მას ჯანმრთელობას, რაც საუწუხაროდ და სავალალოდ მშრომელთათვის, მართლაც ასე მოხდა.

არც ერთ საშუალო სასწავლებელში მოწაფეების ყოველმხრივი შემოწმება, შესწავლა და შეფასება არ ხდებოდა ისე გამუდმებით, როგორც სასულიერო სემინარიის მოწაფეების. არსებობა იმ აუარება ბერების და ინსპექტორზედამხედველების, რომლებიც დაგეშებულ ძაღლებივით დაძრწოდენ მოწაფეების სასკოლო ოთახებიდან დასაძინებელ ოთახებისაკენ და შემდეგ კერძო ბინებისაკენ, ნათლად მოწმობს იმას, რომ სასულიერო სემინარიის მოწაფეების უბრალო დამთქნარებაც კი არ რჩებოდათ იმათ უყურადღებოთ.

სემინარიის მოწაფეები შეფასებას და უფროსების მეთვალყურეობას განიცდიდენ მაშინაც კი, როცა ისინი გაქვავებული ქანდაკებასავით იდგნენ ეკლესიაში და ყურს უგდებდნენ ბერების ბლავილს.

ერთი მეორესთან გა ალაპარაკება, უკან მოხედვა ან გვერდზე მობრუნება, შეუძლებელი იყო. და თუ ვინმე მოწაფეთაგანი ზემოთ ნახსენებ წესს დაარღვევდა ეს ხომ უსაშინელეს ბოროტების ჩადენას უდრიდა და საკადრის სასჯელსაც მიიღებდა.

ჩვენ ზევით ვნახეთ, რომ დანიელი დაავადებული ყოფილა სხვა და სხვაგვარ ავადმყოფობით და მიუხედავათ ასეთი ფიზიკური სისუსტისა უწყინარი და მშვიდი დანიელი იტანდა აუტანელ პირობებს. გამუდმებული შრომის და დაუშრეტელი ენერგიის წყალობით საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა.

სემინარიის ინსპექტორი პერიოდულად ადგენდა ამავე სასწავლებლის მოწაფეების დახასიათებას და ასეთებს უდგენდა სემინარიის მართველობას.

როგორც საარქივო საქმეებიდან სჩანს, სასულიერო სემინარიის მოწაფეების დახასიათება ხდებოდა კრიტიკულად. მიუხედავად ამისა დანიელ ჭონქაძე ხასიათდება შემდეგნაირად. სემინარიის ინსპექტორი იგუმენი ნიკონი უდგენს სემინარიის გამგეობას ყოფაქცევის მიხედვით დახასიათებას დანიელზე: Причерною ревностью ко всему доброму и полезному.

იგივე ინსპექტორი ნიკონი ასეთ მოწაფეთა დასახასიათებელ სიაში დანიელზე ამბობს: Похвальным благонравием и любовию к наукам.

იგუმენ ნიკონის შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად დაუნიშნავთ მაგისტრი გერასიმე ქიქოძე (შემდეგში გაბრიელ ეფისკოპოზათ ცნობილი) და ეს გერასიმე ქიქოძე ყოფა-ქცევაში წარჩინებულ მოწაფეთა სიას ადგენს და დანიელზე ამბობს შემდეგს: Заслуживал особенное одобрение похвальным поведением.

მეორე ადგილას კი მოკლედ არის დანიელ ჭონქაძის დახასიათება გერასიმე ქიქოძის მიერ: вел себя весьма хорошо.

ინსპექტორ გერასიმე ქიქოძისაგან უკანასკნელი დახასიათება დანიელ ჭონქაძის შემდეგნაირია: Показывал скромность, охоту к учению и усердие к Божественной службе.

1847 წელს სასულიერო სემინარიის მოწაფეების დასახასიათებლად შეუდგენიათ ანკეტის მსგავსი კითხვები, სადაც დანიელ ჭონქაძის შესახებ იძლევიან შემდეგ პასუხს:

Ученик – Даниил Чонкадзе
Приспособностях – весьма хорошо
Прилежании – ревностно
Успехи – очень хорошо.

რომ დანიელ ჭონქაძეს საუცხოვოთ დაუმთავრებია თბილისის სასულიერო სემინარიის სრული კურსი ეს სჩანს იმ ატესტატიდან, რომელიც მიიღო დანიელმა სემინარიის დამთავრების შემდეგ. ატესტატი არის დაბოლავებული შემდეგი სიტყვებით: По окончании курса учении в июне 1851 года Семинарским Правлением причислен первому разряду Семинарских воспитаннников без степени студента, потому что сие звание воспитанникам Тифлисской Семинарии еще начальством не усвоено...

ყოველივე ზემოდ თქმულის შემდეგ ადვილი გასაგებია, თუ როგორ იგრძნო მალე დანიელმა გლეხთა ტკივილები და როგორ შეეცადა ამ ტკივილებზე რაიმე წამლის დადებას.

**არკადი ხუნდაძე.**

# მშრომელი ქალი სოციალისტურ მშენებლობაში

# თავისუფალი მშრომელი ქალი აშენებს ახალ ცხოვრებას

ოქტომბრის ძლევამოსილმა რევოლიუციამ გაანთავისუფლა მშრომელი ქალი საუკუნოებრივი მონობისაგან და უფლებებით გაათანასწორა იგი მამაკაცთან. არც ერთ ქვეყანაში მშრომელი ქალი არ სარგებლობს ისეთი უფლებებით, როგორც საბჭოთა კავშირში. მხოლოდ საბჭოთა კავშირში ქალი იღებს უშუალო მონაწილეობას ქვეყნის აღმშენებლობის, მართვა-გამგეობის საქმეში და მამაკაცთან ერთად ეწევა თანასწორ შრომას სოციალიზმის დასამყარებლად.

მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში ქალი მოკლებულია ყოველგვარ ადამიანურ უფლებებს, აქ, საბჭოთა კავშირში, იგი ფართოდ არის ჩაბმული ყველა სამქიანობაში და



„ძირს ჩადრი!" თურქი კომკავშირელი ქალი მოუწოდებს ქალებს დასტოვონ ძველი მონობის ადათი.

სწავლასთან ერთად, თავგანწირვით იბრძვის საუკეთესო მომავლისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავ საგანს წარმოადგენს ქალების სრული განთავისუფლება ოჯახისგან და მათი ჩაბმა კულტურულ-პოლიტიკურ საზოგადოებრივ მუშაობაში.

საბავშო ბაღები, ბაგები, მოედნები, საზოგადოებრივი კვების მოწყობა—ყველა ეს ჩამოაცლის ქალს უდიდეს ტვირთს, რომელიც უბორკავს მას ხელფეხს და მისცემს საშუალებას მთელი თავისი ძალ-ღონე და ცოდნა მთლიანად მოანდომოს სოციალისტურ მშენებლობას. ამ მხრივ გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები და ახლო მომავალში ქალი სავსებით განთავისუფლდება ოჯახისაგან

იმპერიალისტური სახელმწიფოები და საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტრებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ, რომ ქალი საბჭოთა კავშირში იმყოფება გაცილებით უკეთეს პირობებში და სარგებლობს თანასწორ უფლებებით მამაკაცთან, მაშინ როდესაც კაპიტალიზმში არ [illegible]ებს ქალებს ასეთ უფლებებს.

საბჭოთა კავშირი დიდათ [illegible]ავს ქალების განათლებაზე, მათ აღზრდაზე [illegible]ით. ვინაიდან ქალების წერა-კითხვის უც[illegible]რობის მოსპობა და მათში სწავლა-განათლ[illegible] გავრცელება გააძლიერებს ქალების გათვითცნო[illegible]ების საქმეს. ხუთწლიანი გეგმის თანახმად, [illegible]ართველოში წერა-კითხვას შეისწავლის 141.9 ქალი. მუშფაკებში, სპეცტეხნიკუმებში, საქა[illegible]-საფაბრიკო სკოლებში, სხვადასხვა სახის კ[illegible]ზე და პროფ. ტექნიკურ სკოლებში 1927-28 [illegible] სწავლობდა 9.600 ქალი, ხუთწლედის ბო[illegible] აღნიშნულ სკოლებში ქალების რიცხვი მია[illegible] 37.100 მდე ეს ციფრები გვეუბნება ჩვენ, რო[illegible]ლების გათვითცნობიერება მათში სწავლა გა[illegible]ლების გავრცელების გზით, სწრაფი ნაბიჯი[illegible]დის წინ.

ქალი ფართოდ არის გამოყე[illegible]ლი სახალხო ჯანმრთელობის დარგში. 1927-[illegible] წელს ჯანმრთელობის დაწესებულებებში [illegible]ეწყო 3.201 ქალი, 1932-33 წელს ქალების [illegible]ცხვი ამ დარგში გაიზრდება 6.431-მდე აქედა[illegible] ეყოლება 655 ექიმი ქალი.

ქალების მნიშვნელოვანი რი[illegible] ჩაბმულია ჩაის წარმოებაში, საფეიქრო, თა[illegible]ქოს და აბრეშუმის მრეწველობაში, მეხილე[illegible]ში, და სხვა. ქალების რიცხვი ამ წარმოებებ[illegible] დღითი-დღე იზრდება და ხუთწლედის ბოლო[illegible]მნიშვნელოვნად გაიზრდება. მარტო ჩაის წარმო[illegible]ში ხუთწლედის ბოლოს დაბანდებული იქნე[illegible] 3.144 ქალი. გარდა ამისა, არის მრავალი პ[illegible]ფესია, სადაც შეიძლება სარგებლიანად იქნე[illegible]გამოყენებული ქალის შრომა, მაგრამ ეს პროფ[illegible]იები არ არის შესწავლილი. მათი შესწავლა, რ[illegible]მელიც დაიწყება შრომის სახ. კომისარიატ[illegible] თაოსნობით, უფრო გაზრდის წარმოებაში ჩა[illegible]ულ ქალების რიცხვს.











ათი-ათასობით მშრომელი ქალი უკვე აღარ საჭიროებს სპეციალურ დახმარებას, რათა აწარმოოს ორგანიზაციებში ხახელმძღვანელო მუშაობა და ამ მუშაობაში თვითეული მათგანი არაფრით ჩამოუვარდება მამაკაცს. სურათებზე ნაჩვენებია მშრომელი ქალი საწარმოო მუშაობაში, სხვადასხვა ქარხნებში და პარტ. ორგანიზაციებში.

















კომკავშირელი თურქი ქალი ტრიბუნაზე

დიდი მუშაობა სწარმოებს ეროვნულ უმცირესობათა ქალებს შორის, როგორც არის აფხაზეთი, ოსეთი, აჭარისტანი და სხვა. ძველი ტრადიციების წყალობით აქ ქალი განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მოკლებული იყო მრავალ ადამიანურ უფლებას. ქალთა განთავისუფლება მონობისაგან აქაც სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ და მალე ჩვენ ვიხილავთ თავისუფალ აფხაზ და აჭარილ ქალს.

ქალთა განთავისუფლებას მონობისაგან, მათ თავისუფალ მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში აქვს უდიდესი მნიშვნელობა არა მარტო ჩვენთვის, არამედ აღმოსავლეთის ქვეყნების ქალებისათვის, რომლებიც დღევანდლამდე იმყოფებიან ტანჯვა-მონობაში. საბჭოთა კავშირის მშრომელი ქალის მიერ განვლილი ბრძოლის გზა ასწავლის მათ, თუ როგორ უნდა დააღწიონ თავი მონობას და მოიპოვონ ადამიანური უფლებები.

— ლი



წარმოებაში მუყაით შრომისთვის დაჯილდოებული ქალები.











ფოტო—შ. ფურცხვანიძის და ედ. შმერ ლინგის.

# ქ ა რ ა ო ც ი

## კომედია მოთხრობად *)

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გორგოლას კუჭი გონებას ამახვილებს.

— კაცო, ამ სოფელში ნაცნობი არავინ გყავს? მოდი შევიაროთ, თორემ კუჭი ფერდს მიმეწვა! სთქვა გორგოლამ.

— არავინ მაგონდება, მაგრამ შევიაროთ, იქნებ წავაწყდეთ...—უპასუხა ლონგინოზმა.

შეუხვიეს სოფლისკენ. ძაღლები უცნობებს რომ ხედავდნენ, საზარელ განგაშს სცემდნენ, ლონგინოზი ძაღლებს სქელი ჯოხით იგერიებდა, მაგრამ ერთმა ანჩხლმა ქოფაკმა კალთა მაინც ჩამოახია.

ძაღლებთან ბრძოლით უკვე რევკომის შენობასთან მისულიყვნენ.

ახლად შემდგარი რევკომი, თავმჯდომარე-მდივნიანად, უცნობებს მოეშველნენ, რომ ძაღლები მოეგერებიხათ. ლონგინოზი ხმა მაღლა ბრაზობდა:

— ეს რა ოხრობაა? ამდენი ძაღლები?..

გორგოლა აქამდე ლონგინოზის სქელს და მაღალ სხეულს ეფარებოდა, ეხლა კი გვერდზე ამოუდგა და უცნობებს ეკითხებოდა:

— სად არის რევკომი?

გორგოლამ თითონაც არ იცოდა, რევკომს რისთვის ჰკითხავდა!

ძაღლებზე ხომ არ უნდა ეჩივლა? მაგრამ დახეთ მის გონება-მახვილობას, რომ სიტყვა მოისწრო და სთქვა:

— მაზრიდან კაცი გამომაყოლეს, აქ ნატარი არ ვარ...

— რა გინდათ, ამხანაგებო? მე ვარ რევკომის თავმჯდომარე... უთხრა ფარაჯაში გამოწყობილმა ჭორფლიანმა.

— შენ ხარ?

და გორგოლამ განზე გაიხმო.

— მაგ კაცს იცნობ? მიუთითა ლონგინოზ ტურაბელზე.

რევკომმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— უფრო კარგი!—სთქვა გულში გორგოლამ—აი, ეგ კაცი **დიდი ვინმეა!** ნამდვილად არ ვიცი ვინ არის, მაგრამ დიდი დავალებები უნდა ჰქონდეს! ყველას სახელს და გვარს ჰკითხავს და იწერს, სოფლებს ათვალიერებს... იცით, უთუოდ დიდი კომუნისტია... ზერეთში მიდის რაღაც დიდი საქმის მოსაგვარებლად.

გორგოლა ფიქრობდა: თუ გაიგეს,—განგალა, თუ არა და ჩალხანა! ე. ი. ყველაფერს ოხუნჯობაში გავატარებო.

აქ მოხდა ბევრი ლაპარაკი. ერთმანეთის სიტყვით გადაკვრა-გადმოკვრა და ბოლოს ეს ორი დამშეული და ნაჯანხალევი კაცი თავმჯდომარემ მიპატიჟა.

მეორე დღეს სხვა სოფელში უფრო უკეთესად მიიღეს, როგორც სახელმწიფო საქმეზე მოსიარულე, და ცხენების მაგიერ, თუ ეტლს არ შესთავაზებდნენ, უკვე გათამამებული გორგოლა ჯავრობდა და უცნაური და გაუგებარი სიტყვების ჩართვით მასპინძელს ემუქრებოდა.

— პატივი ეცით, ამხანაგებო, თორემ თბილისში ჩავა და ვაი თქვენი ბრალი!

ლონგინოზიც რომ გორგოლას აჰყოლოდა, განმეორდებოდა გოგოლის „რევიზორის“ ამბავი—მაგრამ ერთს სოფელში ლონგინოზს ღვინო მოეკიდა და ადგილობრივ კომუნისტებს გინება დაუწყო:

— როგორ გაბედეთ და **უჩემოდ** ასეთი გადატრიალება მოახდინეთო.

აქ გამოაშკარავდა ლონგინოზის მოგზაურობის ამბავი და ზერეთში მეორე დილას ფეხით გაისტუმრეს, ისე, რომ მასპინძელმა მწვავე არაყიც კი აღარ დაალევინა.

მიმავალ ლონგინოზს ღვინისაგან თვალებ დასიებული გორგოლა ებუზღუნებოდა:

— რა ძალა გქონდა, რომ ეჩხუბებოდი!? რა გენაღვლებოდა ზერეთამდე ქეიფით მივსულიყავით?

— ეგ ჩემისთანა კაცს არ ეკადრება!

გორგოლამ ალმაცერად შეხედა:

— ის ხომ გეკადრებოდა, რომ პირში შეუდექ და ეჩხუბებოდი, უჩემოდ რად მოახდინეთ გადატრიალებაო? როგორ? კაცებს გამოგიგზავნიდნენ? მიგიპატიჟებდნენ?

— გაჩუმდი, თუ ძმა ხარ!

გორგოლა მაინც არ ჩუმდებოდა:

— რამდენჯერ მითქვამს, ნუ ხარ ახირებული-მეთქი? შენმა ჯიუტობამ მე ბევრი რამ დამაკლო და ბევრჯელ მაზარალა და ლხინის მაგიერ დავიდარაბას შემახვედრა! კაცო, რატომ ჩემს „ათს მცნებას“ არ უჯერი? ხომ გეუბნები: აცყოლს აჰყე, დამყოლს დაჰყე! თუ ვინმე გეუბნება, რომ ეს **არის** ქვა და ნამდვილად კი ის ბამბა არის,—გაიცინე და თავი დაუქნიე. ვისზედაც დამოკიდებული ხარ, თუ ის ბრმა და კოჭლია, ნურც ბრმაზე და ნურც კოჭლზე ნუ ილაპარაკებ, ვითომც იმნაირები არც კი არსებობენ! მთვრალი და გახეთქილი რომ გზაზე დაგდებული ნახო, სთქვი თუ: „საწყალი მშიერი ისვენებს-თქო! კაცი რომ სიბინძურეში იჯდეს, ნუ ეტყვი რომ სიბინძურეში გდია, რადგან ადამიანი ისეთი ცხოველია, რომ მრავალ სიბინძურეს ჩუმად კი გადაჰყლაპავს, მაგრამ მხილებას კი ვერ აიტანს და ჭკვიახს თავს გაგიტეხს“.

ლონგინოზმა უთმინა გორგოლას და შემდეგ შეუყვირა:

— რას სულელობ, კუსპარ! ნუ თუ ვერ გრძნობ, რა მწირია შენი აზრები? შენ მე ზნეობას მასწავლი? ერიჰაა! ვწუხვარ, რომ ჩემამდე ვერ ამაღლებულხარ!

გორგოლამ შეხედა, ტუჩები გვერდზე მოიქცია, ცალი თვალი მოხუჭა და უთხრა:

— არ კი გეწყინოს და რაკი პირში თქმა გირჩევნია, მეც გეტყი: „ქარაფშუტა თავთავი მაღალია“!

— გორგოლ! ფიზიკურად თუნდ მატლის ოდანა იყო, აზრით უნდა ამაღლდე! ეგ შენი ზნეობა, რომელიც მხოლოდ ბუნებით მწირებს ეკუთვნის, ფიდო დათუკიძეს მოახსენე! მე კი.. **თვითეულ საგანს თავის სახელს ვუწოდებ!** აი, შენ მაგალითად: ცხოველი ხარ, ულირსი, გაიძვერა, მელია, პირმოთნე, ლაქუცა და მატყუარა...

ლონგინოზი დიდად კმაყოფილი იყო, რომ გორგოლა ასე გაკიცხა. აქეთ-იქით იცქირებოდა, და ნატრობდა ვინმე მსმენელი და მოწმე ჰყოლოდა, რომ ასერიგად მაღლა იდგა გორგოლაზე.

გორგოლა კი მუქარით ეუბნებოდა:

— აბა, მაგისთანა სიტყვები მაშინ გეთქვა, თუ მე შენზე ღონიერი ვიქნებოდი, ნახავდი თუ, როგორ მიგიზელავდი მაგ გვერდებს! ეხლა კი ისევ მე უნდა დავჩუმდე...

ლონგინოზი ისევ მამალივით გაბერილიყო, როცა გორგოლამ სიტყვა შეაპარა:

— იქნებ მე **ის** ვარ, რაც შენ გაკლია; ა გინდა **ჩემნაირი** იყო, მაგრამ ვერ მოგიხერხებია.

ლონგინოზი დაიბნა და მხოლოდ ღრმად ამოისუნთქა. გორგოლამ განაგრძო:

— აბა, მაშ ეს ჭკვიანურია, რომ ნავში იჯექ და მენავეს ეჩხუბებოდი—გადატრიალება უჩემოთ რად მოახდინეთო? კაცო, შენ ვინ ხარ, რომ დაგკითხებოდნენ და შენგან ხებართვა მიეღოთ?

— გორგალ! კმარა ლაყმობა! მე ვინც ვარ, შენ კარგად იცი!

ლონგინოზი შეჩერდა, სივრცეს მიაჩერდა, ცხვირის ნესტოები გაბერა და წამოიძახა:

— ზრუნვა კაცობრიობისთვის მხრებზე მაწევს და მადლობა, აი, ამ ბუნებას, რომ მაგარი მხრები მაქვს!

ცალს ხელს ჯოხი ხელში აჰყვა, ისე გაშალა ხელები და გამხმარს მარგილს მიაშტერდა.

ლონგინოზს არც ისე მაგარი მრები ჰქონდა, როგორც იკვეხოდა, რადგან ჩვენ ვიცით, რამდენჯერმე სცემს და იქ თავისი ძალა ვერ გამოიჩინა; აქ მხრების მაგიერ სულ სხვას გულისხმობდა, სახელდობრ იმას, რომ მისი იდეია და აზრი მაგარ ნიადაგზე იყო და კუსპარაებისთანა პატარა ადამიანებს კი არ ესმოდათ!

გორგოლამ უცბად შეაჩერა:

— ლონგინოზ, თურმე მთელი თბილისი, დიდიდან პატარამდე, მოჭიდავეებზე გადარეული ყოფილა და, თუ მაგ მხრების იმედი გაქვს, მოდი პირდაპირ თბილისში ჩავისეირნოთ!

— რისთვის?—ჰკითხა გაკვირვებულმა ლონგინოზმა.

— ცირკში იჭიდე!

— მე იდეიით ვჭიდაობ, შე უგუნურო, და არა მხრებით და მკლავებით; თბილისს კი არა, ევროპის ყველა ქალაქს დუელში ვიწვევ თავის მეცნიერებით!

— გარწმუნებ, იდეას რომ თავი დაანებო, არც ის მეცნიერები შეაწუხო, და ნამდვილად იჭიდო, ღამეში ხუთას მანეთს აიღებ!

— შენში ჩარჩის ბუნებაა, მაგრამ ეხლა სპეკულიაციას ველარ ეღირსები! ბოლშევიკები მაგ გრძნობას შანთებით ამოგწვავენ! ო, მე იმას ვანანებ, რომ ამდენი ხანი ჩემთან ხარ და ვერაფერი შეგასმინე...

— ნუ ჯავრობ, ჩემო ლონგინოზ! მე თუ ვერაფერი შემასმინე, კაცობრიობას შეასმენ! ის ჩემზე არც დიდია, არც პატარა!

ლონგინოზმა იგრძნო მწვავე დაცინვა, მაგრამ გაჩუმდა: იქნებ თავის თავს დღეს პირველად უმტყუნა, რომ „საგანს თავის სახელი არ უწოდა“ და გორგოლას „ათი მცნების“ მიხედვით ყური მოიყრუა. შემდეგ, რაკი გორგოლამ გამარჯვება იგრძნო, წათამამდა და ლონგინოზი მასხარად აიგდო.

— ლონგინოზ! როგორ იყო, ჩიკაგოში, თუ სადღაც ჯახაბაში, ბავშს ცხელი წყალი რომ გადაესხა და შენ აქ ფული შეუგროვე? ძალიან სათნოება კი გამოიჩინე, მაგრამ მერე გამოირკვა, რომ ბავში მილიარდერის ყოფილიყო! ხა, ხა, ხა! შე კაი კაცო, იმ ხუთმეტ თუმნით ერთს ქოხს მაინც ავიშენებდი... შენ კი მუდამ უკუღმა გემართება.

— გორგოლ! — შეჰყვირა ლონგინოზმა, — როდემდის უნდა იყო ეგოისტი? აბა, ეგ რა მოსატანია? შენ... შენ..: ნამდვილი ქარაოცი ხარ!

გორგოლას სიცილისაგან მუცელი ხელით ეჭირა. ლონგინოზი, როგორც მოსე წინასწარ-

---

*) იხილე „დროშა“ № 2, 3, 4.

მეტყველი, გორგოლას ამაყად დასცქეროდა და გულში ამბობდა:

— საბრალო ქია! როდის ამაღლდე საკაცობრიო იდეებამდე.

**ფიდო დათუკიძე ხელის ჩამორთმევით—ლონგინოზის ანტიპოდი.**

მე დაგპირდით ფიდო დათუკიძეს ხელის ჩამორთმევით გაგაცნობთ-მეთქი! ლონგინოზის სრული წინააღმდეგობა, მაგრამ მაინც შებრუნებული ქარაოცი.

ეშმაკი თვალები, გრძელი ულვაშები, ცხვირი მეძებრისა, რომ მალე მიმხვდარიყო: სად რა იხარშებოდა. უფროსთან მუდამ მოღიმარი, უმცროსთ ნ მუდამ შუბლშეკრული. აი, ესეც თქვენი ფიდო!

ფიდო ერთხანად ქალაქში ცხოვრობდა და იქ დაუვარდა კრიჟანგის სახელი.

ფიდოს მამას ცამეტი შვილი ჰყავდა და ფიდო მეცამეტე იყო. მიტომაც ხშირად ლონგინოზი გაჯავრებით ეტყოდა ხოლმე: შენ, „დარვინის მაიმუნის“ გარდა, მეცამეტე გოჭი ხარო.

ფიდოს მამა მოვაჭრე იყო და ფიდო მას დახლიდან ფულებს ჰპარავდა. რას უშვრებოდა ამ ფულებს?

ისეთ ალაგას გადამალავდა, რომ ხან თვითონაც ველარ იპოვიდა.

**კრიჟანგი ფიდო სხვის ხარჯზე, რომელზეც ამბობდნენ: უშვილო და პურაძვირიო.**

ქალაქში ფიდო ვაჭრებთან ტრიალებდა — უმეტეს შემთხვევაში სარდაფის პატრონებთან— იქ სასმუსხავი ეგულებოდა. არავის ახსოვს, რომ მას სადილში, ან ვახშამში, სანამ უცოლშვილო იყო, ფული გადეხადოს.

სარდაფში რომელიმე ნაცნობს მოუჯდებოდა და მის ხარჯზე გამოძღებოდა.

ვინიცობაა, ისეთი დღე გამორეოდა, რომ ნაცნობი არსად შეხვედროდა, უცნობს შორიდან გამოელაპარაკებოდა— ის ან ბაბუას მხრით, ან დედის, ან პაპიდის, მამიდის, ბიძაშვილის, მამიდაშვილის ნათესავი თუ არა, ნაცნობი მაინც გამოდგებოდა, და თუ ეს იმედიც გაუცრუვდებოდა, იმათ სოფლელს მაინც ვისმეს იცნობდა, ამბავს გამოჰკითხავდა, მადას შეუქებდა და საჭმლის გემოს ჰკითხავდა—ქართველი ჯერ ისეთი არავინ მინახავს, რომ ასე გამოენაცნაუროს და სადილით არ დ ჰპატიჟოს — ფიდოსაც ეს უნდოდა.

მოუჯდებოდა მაგიდას და ისე მოხიბლავდა ლაპარაკით, რომ თავს თამადად აარჩევინებდა. მუქთა სუფრაზე ჭამაში ხარბი იყო და ხან ისე აჭრელებია თვალები, რომ სხვის კერძსაც გადასწვდომია—რასაკვირველია, ბოდიშის მოხდით, რომ მას ესეთი ქცევა სითამამით, მეტის სიყვარულით და მეგობრობის გრძნობით მოსდიოდა.

**ფიდოს ჯიბეში მორიელი უზის — სხვაგან მუქთა კუბოში წვება.**

ერთხელ მას პირში უთხრა: შენ სულ სხვაგან დადიხარ, სხვასთან სჭამ, სხვასთან ქეიფობ, შენ ჯიბეში მორიელი ხომ არ გიზის? გამართე სადილი და დაგვპატიჟეო.

ასეთი ლაპარაკი ფიდოს ძალიან ეჯავრებოდა. ჯერ ხმას არ ამოიღებდა, მაგრამ როცა გაძღებოდა, წაილაპარაკებდა: შერცხვეს, ვინც თქვენთან დაჯდესო და წავიდოდა.

გადამეტებით არავის აწყენებდა, იმ იმედით, რომ შემდეგ გამომადგესო.

მატარებელში მგზავრობის დროს მოკვდებოდა და ბილეთის ფულს არ გადაიხდიდა. ვისმე ნაცნობს გამოესაუბრებოდა და ბოლოს ეტყოდა: „თუ ძმა ხარ, მე არ მცალია კასსასთან გავჩერდე, ერთი ბილეთი ამიღე და ადგილზე გავსწორდებით“. ეს „ადგილზე გასწორება“ შემდეგ განგებ დაავიწყდებოდა და თუ მოაგონებდნენ, სიცილში გაატარებდა: „უკან დაბრუნებისას მე გიყიდიო“ და ეცდებოდა, რომ უკან დაბრუნებისას სხვას აჰკიდებოდა.

ქალაქში თავის ნათესავთან სცხოვრობდა —უფასოდ, უხარჯოდ.

სადღაც სპეკულიაციას ეწეოდა და არავინ კი იცოდა. რას აკეთებდა! იყო გულჩახურული! დაძვრებოდა ჩუმად.

მისმა ნათესავმა იცოდა, რომ ბევრ ფულს შოულობდა, მაგრამ ამ ფულს რაში ხარჯავდა? სად ინახავდა? ვერვის გაეგო.

**ფიდოს ხაზინა უბით დაჰქონდა.**

ერთ ღამეს საიდანღაც მთვრალი მოვიდა. მისმა ნათესავმა სთქვა: სადღაც მუქთა კუბოში ჩაწოლილაო, თორემ თავის ფულით არც ასე დაითვრებოდა და არც ასე გაძღებოდა, რომ ძლივსღა ითქვამს სულსაო.

მთვრალს პირისაქმება აუტყდა. ნათესავი უვლიდა, თავს დასტრიალებდა. უნდოდა ტანისამოსი გაეხადნა, მაგრამ ფიდო ნებას არ აძლევდა და ბღუჯღუნებდა.

ბოლოს ძალით მაინც გახადეს და პიჯაკის უბეში უნახეს ცხვირსახოცში გადახვეული და სქელი ძაფით უბეზე მიკერებული აუარებელი ვალიუტა.

მეორე დილას თვალები გაახილა თუ არა, პიჯაკი მოითხოვა. ცახცახებდა, ენა ებმებოდა, სანამ ნათესავმა არ ანუგეშა, რომ შენი დოვლათი ხელუხლებელიაო.

**ქორწილი სხვის ხარჯზე.**

ერთხელ ამხანაგები შეუჩნდნენ: ცოლი უნდა შეგრთოთო და პირველადვე ის იკითხ: „ფული აქვსო?“ „ქალს ფული თუ აქვსო!“

და თქვენ ვერ წარმოიდგენთ მის სიხარულს, რომ ის ქალი—სახელად ნინუცა – მდიდარი აღმოჩნდა.

ფიდომ გადასწყვიტა ნინუცას შერთვა. თუმცა ის ქალი თვალით არ ენახა: ბრმა იყო, თუ კოჭლი!

როგორიც უნდა ყოფილიყო, ფიდო მაგას არ დაგიდევდა, ოღონდ ფული კი ჰქონოდა.

მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა, რომ ქორწილის გადახდაში ხარჯი მოუვიდოდა.

თავის ნათესავს ჩაულაპარაკა:

— ქართველებს ცუდი ჩვეულება გვაქვს. ქორწილში უთუოდ ხალხი უნდა შეიკრიბოს, სადილს ვახშამი მოჰყვეს... აუარებელი ფული დაიხარჯს. დაითვრნენ, დაამტვრიონ! რისთვის? რის გულისთვის? მე რომ ცოლს ვირთავდე, სხვას რა უხარიან? რად უნდა დავპატიჟო? მე და ჩემი ცოლი წავალთ სადაც საჭიროა, ჯვარს დავიწერთ და სახლში დავბრუნდებით.

ნათესავი განგებ უხირდებოდა:

— ფიდო, ამდენი ნაცნობი და მეგობარი გყავს, ისენი შენ გპატიჟებენ, ერთხელ (ისიც ქორწილში) შენც უნდა დაჰპატიჟო...

ფიდო როგორც იყო დაითანხმა, რომ ქორწილში მხოლოდ ძალიან ახლობლებს შეტყობინოს და სიის შედგენა ნათესავსვე მიანდო.

მეორე დღეს სია ფიდოს წარუდგინა და ფიდოს ელდისაგან ენა ჩაუვარდა, რომ ორმოც კაცამდე ქალიან კაციანად გროვდებოდა.

— ორმოცი კაცი მე გავაძღო? თითოს სამი მანეთი მაინც ხომ დასჭირდება? არა! არა! თუ მ ხარ, გაანახევრე.

ნათესავმა ორმოცი გაანახევრა.

— ფიდო, ოცზე ნაკლები აღარ იქნება, ესენი სულ შენი ძმისწულები და ბიძაშვილები არიან.

ფიდო დაფიქრდა და უთხრა:

— თუ ეგენი ჩემი ძმისწულები და ბიძაშვილები არიან, მაშ შენი დეიდაშვილები ყოფილან! ამიტომ სადილის ხარჯი მე და შენ სანახევროდ გადავიხადოთ.

ნათესავს მხოლოდ გულიანად გაეცინა, ვეღარაფერი უთხრა და ქორწილის დღეც დანიშნეს.

ფიდომ უთხრა:—ჩემი ფული ვალიუტაა, მხოლოდ სტერლინგებია, ეხლა რომ დავახურდაო, ვიზარალებ; მოდი, სანოვაგე და ყოველგვარი საჭირო მასალა შენ იყიდე და მერე გავსწორდებითო.

ნათესავმა იცოდა რას ნიშნავდა მერე გასწორება, მაგრამ აღარაფერი უთხრა, ნათესავს უნდოდა, ფიდოს ცოლი შეერთო, რომ მის ბინას მოშორებოდა.

ცოლიანიც ხომ მის ხარჯზე არ იქნებოდა? მაშინ საკუთარ ბინას მონახავდა, ან ზერესტს დაუბრუნდებოდა და მისი „ჩასახლებული მუქთახორა“ თავიდან მოშორდებოდა.

მაგრამ ლონგინოზი დაქორწინების შემდეგ სამი წელიწადი კიდევ ცხოვრობდა ნათესავთან. მის ცოლს ერთი ქალიშვილიც ეყოლა, რომლის ნათლობა ნათესავს გადაახდევინა. ამ ბავშს დაარქვეს **ელისო.**

ერთ დღეს ფიდოს ცოლი თავის ქალიშვილით სახლში აღარ დახვდა.

ფიდოს გაუხარდა, რომ იმ დღის სადილი მეორე დღეს გამოადგებოდა.

ცოლი აღარც მეორე დღეს მოვიდა და აღარც მესამე დღეს.

ცოლის არ დაბრუნება ფიდოს სულაც არ სწყენია, პირიქით, უხაროდა, რომ ნინუცამაც ჭკუა ისწავლა, სხვის ხარჯზე იოლად გამოდიოდა და ქმრის ჯიბეს ზოგავდა.

ყოველ დღე ანგარიშობდა და დაზოგვის ჯამს აკეთებდა.

ამბობენ ცოლმა ველარ აიტანა მისი სიძუნწე—მშიერს ჰკლავდაო—ვიღაცა ინჟენერი გაიცნო... და... გაჰყვა!

რამდენიმე თვის შემდეგ ფიდოს ნათესავს ნინუცასგან წერილი მოუვიდა, რითაც ატყობინებდა, რომ იგი თავის ახალ მეუღლესთან ერთად ბედნიერად ცხოვრობს მოსკოვში.

**თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს.**

ნათესავმა ფიდო, როგორც იყო, სოფელში გაისტუმრა და მას შემდეგ იგი სოფლიდან იშვიათად ლა ჩამოდიოდა თბილისში. მამის დუქანში ჩადგა და ეწეოდა ყოველგვარ სპეკულიაციას. ამ დროს ბევრჯერ შესჯახებია ჩვენს გმირს ლონგინოზს და ბევრელ უთქვამს მისთვის: თხა თხაზე ნაკლები მგელმა შესჭამოსო.

ბოლო ხანებში ფიდომ ლონგინოზი ძალიან დაჩაგრა მისი ქონება სულ ფიდოს ხელში გადავიდა. – მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციამ ფიდოს სამაგიერო მიუზღო.

**სანდრო შანშიაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

# მოზარდ-მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი

მოზარდ-მაყურებელთა თეატრი უნდა ემსახურებოდეს კომუნისტურ თაობის აღზრდის საქმეს; სკოლა, ოჯახი და საერთოდ ყოფაცხოვრება, აი რას უნდა გადმოსცემდეს მოზარდ-მაყურებელს თეატრი და რა უნდა ანვითარებდეს ბავშის გონებას, ამიტომ მოზარდთა თეატრი, როგორც მაატვრულ-იდეოლოგიურად ისე პედაგოგიურადაც უნდა იძლეოდეს დამაჯერებელ სახეს.

დღეს, რეკონსტრუქციის პერიოდში, ანტირელიგიურ ფრონტზედაც მუშაობა სწარმოებს, მაგრამ ნაკლები ტემპით. ჩვენ სკოლებში ამ პროპაგანდას არა აქვს სისტემატიური ხასიათი. მოზარდ-თაობაზე იდეოლოგიური გავლენის გასაღრმავებლად და ანტირელიგიურად აღსაზრდელად აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს სცენის გამოყენება.

ცილისას, რომელიც ალ. თაყაიშვილის კარგ დადგმას უნდა მიეწეროს.

პიესა იწყება ასე: სოფლის მასწავლებელთან შეხიზნულან ბავშვები. ბავშვები გაყოფილან ორ ჯგუფად: თეთრებად და წითლებად. ორივე ჯგუფს ხელმძღვანელობს გოჩა. ბავშვები მთელი ორი მოქმედების განმავლობაში ებრძვიან ერთმანეთს და ამტვრევენ ჭურჭლებს, არც ერთმა მათგანმა არ იცის ბრძოლის მიზეზი გარდა მეთაურისა, რომელიც ორივე ჯგუფს ხელმძღვანელობს.

დასასრული გაურკვეველია: სადღაც ხდება აჯანყება, დამარცხებული პოლკოვნიკი და ოფიცერი იმალებიან ეკლესიაში. ბავშვები უერთდებიან გლეხებს და გურამის მეთაურობით იჭერენ მათ.

თუმცა ეს ფონი ბოლომდე არ არის [illegible] პიესის პირველი მოქმედებიდანვე [illegible] ბრიტანეთის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს კოლონიალურ ქვეყნების დაპყრობას. გურონთა ბელადი ატო ტარხო ინგლისის იმპერიალიზმის წარმომადგენლების გავლენის ქვეშ მოექცევა და ილაშქრებს იროქეზებზე და გურონებს შორის მშვიდობიანობის დამამყარებელ ჰაიავატას წინააღმდეგ. პიესის ფინალი ამერიკულ კინო-ფილმის სახისაა და ამ მხრივ „რობინ-გუდ"-ის ფინალს მოგვაგონებს. მშვიდობიანობის დამამყარებელ ბელადთან ბრძოლაში მარცხდება გურონთა ბელადი „ჯადოქარი" და იმპერიალიზმის ავანტიურა.

დადგმის მხრივ პიესა იმდენად მკვეთრ ხაზებშია მოქცეული, რომ სავსებით აღწევს ნორჩ მაყურებლამდე: მიუხედავად ამისა, დადგმის ზო-



სხვადასხვა სცენები მოზარდ-მაყურებელთა თეატრის დადგმებიდან

მოზარდ-მაყურებელთა თეატრის პირველი პრემიერა კერესელიძის პიესა „ეშმაკი" ამ მხრივ პირველ ცდას წარმოადგენს. თეატრმა მეორე წლის სეზონის გახსნის პირველ სარეცენზო დადგმისთანავე დაგვარწმუნა, რომ ჯერ კიდევ ნორჩსა და ახლად ჩამოყალიბებულ მოზარდ-მაყურებელთა თეატრს სავსებით წინდახედვით და სწორედ აქვს შეგნებული თავისი მიზანი და საკმაო მარაგი აქვს ახალგაზრდა მაყურებლისათვის მხატვრული აღმზრდელობითი სამსახურის გასაწევად. პიესის სიუჟეტს ეტყობა ალაგ-ალაგ უფერულობა და ხშირად დრამატიული კვანძი სუსტია. პიესა მასალობრივ თანადროულია და იდეოლოგიურად გამართლებული. რეჟისორულმა სწორმა მიდგომამ პიესა საკმაოდ მისაწვდომი და მხატვრული გახადა მოზარდ-მაყურებელთათვის.

მეორე პრემიერა „გოჩა" მოკლებულია ყოველგვარ აღმზრდელობითი ხასიათს და არაფერს არ აძლევს ნორჩ მაყურებელს გარდა სი-

გურამი, რომელიც მთელ ორ მოქმედების განმავლობაში უაზრო და სულელურ ქცევით განუწყვეტლივ სიცილს იწვევს და რომელსაც სამართლიანად შეგვიძლიან ვუწოდოთ პატარა კომბალა, ბოლოს ხდება პიესის მთავარ გმირად. ის ყოველგვარი მიზეზის და მოფიქრების გარეშე იჭერს აჯანყებით გარიყულებს. კარგი იქნება, რომ თეატრმა ასეთ ყოვლად გაუმართლებელ და მიუღებელ პიესებს გვერდი აუხვიოს.

უკანასკნელი პრემიერა „ჰაიავატა" გოჩასთან შედარებით მასალობრივად უფრო სერიოზული და საყურადღებოა.

პიესის საუჟეტი ლოკალის მხრივ უცხოა ქართველ ბავშვებისათვის და ამ ამბავის განვითარება რთული და ნაწილობრივ არაბუნებრივია. მიუხედავად ამისა, პიესის თემატიური ხაზი არ არის ინტერესს მოკლებული.

სიუჟეტი ეხება ბრიტანეთის პროვოკაციულ პოლიტიკას ინდოეთის ველურ ტომების მიმართ,

გიერთი ადგილები სუსტია, კერძოდ პირველი მოქმედების პირველი სურათი: მატროსების ყალბი მოძრაობა და ხშირად კომიკურიც, გემზე თანამედროვე დისციპლინა და ხანდახან გაუგებარი სიცილი. ასეთივე ყალბია ატო-ტარხოს და ჰაიავატას ძმების შებრძოლება და ნაწილობრივ ჰაიავატას შეხვედრა გურონებთან, სადაც განუწყვეტელი ჭიდილი და ხმაური ერთობ ღლის მაყურებელს.

კარგად გაკეთებული ადგილებიდან აღსანიშნავია პირველი მოქმედების დასრული და იროქეზთა შეკრების მომენტი, მ. გოცირიძის დეკორატიული ნამუშევარი რომელიც იმდენად დაკავშირებული და შეხამებულია მოქმედების სვლასთან, რომ მაყურებელი მსახიობის მეტყველებასთან ერთად გრძნობს დეკორაციის (საგნის) მეტყველებას.

გრ. ჩიქოვანი.

სეზმან ერთაწმინდელი.

# ბარიკადაზე.

(პარიზის კომუნის დროის სურათი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოქმედნი:**

1. ანდრე დიუ მუშა.
2. ჟორჟ—ამის შვილი.
3. როზეტა—სათნოების და.
4. ლუი
5. შარლი.

} კომუნარები.

6. ლეიტენანტი.
7. კაპრალი.

} ვერსალელნი.

(სცენა: ბარიკადა—ქუჩის მოსახვევში, ზედ წითელი დროშა, განთიადი. კოცონი ანთია. როზეტა ჭრილობას უხვევს ანდრეს. შარლი გუშაგად დგას. ჟორჟს სძინავს ცეცხლთან—იქვე უდევს პატარა დაფი. პაუზა.)

**ანდრე.** განთიადი მოახლოვდა?

**როზეტა.** აი, მკლავიც შეგიხვიე, ანდრე.. ეულა ცოტას რომ მოისვენებდე, სჯობია, თორემ აგერ სამი დღე-ღამეა თვალი არ მოგიხუჭავს...

**ანდრე.** რა დროს ძილია, დაო როზეტა, საცაა ვერსალელები ისევ დაიწყებენ შემოტევას. ეს სიჩუმე ალბად დაყუჩებაა ქარიშხალის წინ... საბრალო ჩემი ჟორჟი!... სძინავს... ბიჭუნას (უალერსებს).

**როზეტა.** მაშ რა მოუვიდოდა, რაც მაგან გუშინ და გუშინწინ საქმეები გააკეთა?! ვერსალელების ბანაკზე გავლით ხიდზე გადაიპარა ჩვენ შტაბში—ჩვენი ბარიკადის მდგომარეობაზე ცნობა გადასცა და სენას გაღმა მდგომარეობის ამბავი მოგვიტანა... ხიდის ყურზე მთვლემარ ჯარისკაცს როგორ-ღა გაუბედა ხელის კვრა, თხრილში გადაჩეხვა და თოფის წართმევა?! (ეცინება).

**ანდრე.** მერე და, შენ რა თოფია, და?.. (პაუზა).

**როზეტა.** ლუი მაინც უკრავს?...

**ანდრე.** თავის საკრავიც თან წამოუღია?! (იცინის).

**ლუი.** მაშ რა მექნა... ჩვენი უბანი ვერსალელებმა დაიჭირეს და იმათ ხომ არ დავუტოვებდი!... სიცოცხლეშიც ერთად ვიყავით მე და ჩემი ვიოლინი და, თუ ჩვენი კომუნა დამარცხდა, თუ მეც სიკვდილი მიწერია ბარიკადზე, დეე, ესეც ჩემთან დაიღუპოს!...

**ანდრე.** ვიდრე დრო არის—შეგიძლია, ლუი, დასტოვო ბარიკადა, დაბრუნდე შინ. სულ ერთია, ვინ იცის, რამდენიმე საათის შემდეგ რა გველის!... ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, სიცოცხლით სავსე, იქნება შენ მაიც გადარჩე და გადასცე მომავალ თაობას, თუ როგორ იბრძოდენ კომუნარები ვერსალელთა წინაღმდეგ.

**ლუი.** მაგას ვერ ეღირსებიან ვერსალელები, რომ ცოცხალმა ბარიკადა დავტოვო... აი, ამ პატარა ჟორჟზე კი რომ იფიქრებდე და გადაარჩენდე—ის ემჯობინება.

**როზეტა.** აა, ჟორჟი... ეს სწორედ გმირი ბავშია!..

**ანდრე.** რომ დავუტოვო, ვის დაუტოვო? ჩვენები ზოგნი ბარიკადებზე დაიღუპენ, ზოგნი დახვრიტეს ვერსალელებმა; დეიდა სიუზანას მივაბარე აქ რომ წამოვედი, მაგრამ გამოეგდო... ხომ იცით როგორც მორწმუნე კათოლიკე, გაბრაზებულია კომუნარებზე:—მამაშენმა და სხვა კომუნარებმა პარიზის ეპისკოპოსი რად დახვრიტესო, თქვა... ჟორჟმაც დიდიხნის ძებნის შემდეგ ამ ბარიკადაზე მომაგნო და აღარ მშორდება...

**ჟორჟი.** (იღვიძებს) მამა... აქა ხარ?.

**ანდრე.** ო, გაიღვიძე?! ადრეა, შვილო! ჯერ იძინე...

**ჟორჟი.** ჰო, მამა... ვერსალელები თუ მოვიდენ და დაგვხოცეს—გამაღვიძე...

**ანდრე.** კარგი, თუ დაგვხოცეს, გაგაღვიძებ და შენ შური იძიე მათზე!... (იცინიან).

**ჟორჟი.** აა, დეიდა როზეტა!... შენც აქა ხარ?!

**როზეტა.** აქა ვარ, ჩემო პატარავ... აი შენი ულუფა კვერი შეგინახე.. (აძლევს). მეორე დღეა არაფერი გიჭამია...

**ლუი.** აი შაქრის კვნიტიც...

**ჟორჟი.** მერე, თქვენ?...

**ლუი.** ჩვენ?.. ჰმ... ვჭამეთ... არ გვინდა...

**ჟორჟი.** საიდან ჭამეთ, რომ ჯერ კიდევ სამი დღის წინად გამოგველია ყველაფერი?! (პაუზა. წამოიწევა) დაუკარი, ძია ლუი... ო, რა კარგად მესმოდა ძილში!.. (ლუი უკრავს).

**ანდრე.** ირგვლივ ვერსალელთა ალყაა, ვაზნებიც შემოგველია და აღარ ვიცი რით გავუმასპინძლდეთ, თუ შემოგვიტიეს?! (პაუზა).

**როზეტა.** აი, გუშინ საღამოს ჟიული რომ დასჭრეს იქ და ლაზარეთში წავიყვანეთ, ათიოდე ვაზნა დარჩენოდა ჯიბეში და გამომატანა... (აძლევს).

**ანდრე.** ნეტა როგორაა?! (პაუზა) გუმბეტი მოჰკლეს, არნო გადარჩება თუ არა——არავინ იცის, ემილი დაატყვევეს და ალბად უკვე დახვრიტეს კიდევაც... (პაუზა).

**ჟორჟი.** (თავისთვის) ჰმ!.. რაო?! ვაზნები აღარა გვაქვსო?! (ჩუმად ადგება, ბარიკადიდან გასცქერის შორს, ფრთხილად გაიპარება. პაუზა).

**შარლი.** ტიულიერის ცეცხლი უკიდია... ალბად ვერსალელთა ზარბაზნებით თუ გაჩნდა ხანძარი!..

**ლუი.** ჰმ... ეს ვერაა კარგი...

**ანდრე.** თუ ერთი ორი დღე მაინც შევამაგრეთ ბარიკადა, მანამდე მოგვაშველებენ ჩვენები... საჭიროა უკანასკნელი ძალის დაჭიმვა...

**ლუი.** ერთი მუჭა ხალხი აბა რას გავხდებით!..

**ანდრე.** კომუნის სიყვარული მოგვცემს ამ გამბედაობას... (პაუზა. გაისმის სროლა, ხმაური) რა ამბავია?! (ადგება—გაჰყურებს).

**შარლი.** (იყურება თოფს მოიმარჯვებს) შესდექ!!!

**ლუი.** ვინაა?

**შარლი.** ვიღაცა მოცოცავს აქეთ!..

**როზეტა.** პატარა ბიჭი ჩანს...

**ანდრე.** ვინ იცის, იქნება ვერსალელთა ტყვეობას გამოექცა...

**შარლი.** იქნება ჯაშუშია?! (თოფს უმიზნებს).

**ჟორჟი.** (შორიდან) ძია, შარლ! არ მესროლო!.. მე ვარ!..

**ლუი.** ვინაა?

**შარლი.** ჟორჟი!..

**ანდრე.** რაო?! ჟორჟ?: აქ არ ეძინა?! როდის ადგა? როდის გაიპარა? ან რად?! (გადახტება ბარიკადას იქით, აიყვანს, გადმოიყვანს) სად იყავი, შვილო?! როდის ადექი, რომ...

**ჟორჟი.** თქვენ არ ამბობდით, ვაზნები შემოგველიაო?.. მე კი გუშინ ქუჩაში დახოცილი ჯარისკაცები გამახსენდა და მივუცოცდი... ჩანთები დავუცალე... ამ დროს კი ვიღაცამ მესროლა ვერსალელთა მხრიდან... აი რამდენი ვაზნა.

**ანდრე.** ტყვია ხომ არსად მოგხვდა, შვილო?! (სინჯავს).

**ჟორჟი.** არა... აბა ისინი მე მომარტყავდენ?; სადა აქვთ დამიზნების შნო?! (იცინის) რაა, პირველად ხომ არ ვუცლი სავაზნებს?! (სუსტდება).

**როზეტა.** რა მოგდის, ჟორჟ? სუსტდები... ფერი...

**ჟორჟი.** არ ვიცი... აი აქ თითქოს რაღაცა მეწვის... (ბარძაყზე უჩვენებს).

**როზეტა.** ტყვია მოხვედრია!.. (დასვამს, უსინჯავს).

**ანდრე.** ტყვია?!

**ჟორჟი.** მერე და, ვინ უთხრა—დამჭერითო?! ჯალათები!!! აბა, მოვკვდე, ვაჩვენებ იმათ სეირს!!! (იცინიან).

**ანდრე.** შე ცელქო, რომ გეუბნები ხოლმე ფრთხილად იყავი და ნუ ეხუმრები ვერსალელებს—არ გესმის?! ხომ იცი ისინი არც ბავშვებს ინდობენ?!

**როზეტა.** ჭრილობა საშიში არაა, მსუბუქად გაუკაწრავს... (უხვევს).

**ჟორჟი.** ხომ გითხარით, რომ იმათ დამიზნების შნოც არა აქვთ მეთქი, რომ პირდაპირ გულში მოარტყან!...

**შარლი.** (ვიღაცას შეამჩნევს, მოემზადება) აბა, იარაღთან.. ვგონებ ვერსალელები არიან!,. (ემზადებიან).

**ანდრე.** შარლ, არ ესროლო!.. პარლამენტიორები არიან!.. მკლავებზე თეთრი ნიშნები აქვთ; ალბად მოსალაპარაკებლად მოდიან...

**ჟორჟი.** მოვიდენ აქ, მე ვაჩვენებ იმათ!... (დამბაჩას იღებს).

**როზეტა.** არ ადგე, ჟორჟ, ეგრე იწექი, რომ ფეხი მოსვენებით იქნეს და ჭრილობა არ გაგიავდეს.

**ჟორჟი.** არა, მე ხომ მებუკე ვარ ამ ბარიკადების, მედოლე... სად არის ჩემი დაფი! (იღებს) განგაში?!

**ანდრე.** ჯერ არ დაჰკრა, შვილო!..

**ლუი.** (აღტაცებით) არა, ხომ გითხარი, ანდრე, რომ ჩვენი კომუნა გამარჯვებს და ვერსალელები დამარცხდებიან მეთქი?! აი, ალბად იმიტომ მოდიან, რომ საზავო მოლაპარაკება სურთ.

**ლეიტენ.** (გამოჩნდება. უკან კაპრალი) გენერალ მარკიზ დე-გალიფეს ბრძანებით წინადადება გეძლევათ: იარაღი დაჰყაროთ, ბარიკადა ჩაგვაბაროთ და დაგვნებდეთ. მოფიქრებისა და პასუხისთვის ხუთი წუთი გეძლევათ.

**ჟორჟი.** გამიშვი მეთქი, ძალუა როზეტა, რომ შუბლი გავუხვრიტო!.. (იწევს).

**როზეტა.** ჟორჟ, შეჩერდი!.. (არ უშვებს. პაუზა).

**ანდრე.** ამხანაგებო, თქვენი პასუხი?

**ლუი.** არასოდეს!

**ყველა.** (იარაღს აათამაშებენ) გაუმარჯოს კომუნას!..

**ანდრე.** აი ჩვენი პასუხი!.. (ლეიტენანტი გაბრუნდება - გაჰყვება კაპრალიც).

**ჟორჟი.** რათ გაუშვით? ეხლა ხომ ისინი არ დაგვ ნდობენ და დაგ ხოცენ?!

**ანდრე.** (პაუზის შემდეგ) იქნება ეხლა მაინც იფიქროს რომელიმე თქვენთაკანმა ბარიკადის დატოვება?.. ამხანაგებო, ვიდრე გვიან არაა!.. შენ, შარლ, ლუი, როზეტა.. ან შენ, შვილო?..

**ჟორჟი.** მე შენ არ მოგშორდები, მამა!..

**შარლი.** ჩვენ ვრჩებით შენთან, ანდრე.

**ლუი.** და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ!..

**ანდრე.** შენა, დაო როზეტა?

**როზეტა.** პარიზელი მუშა თავის წვლილს შეიტანს კომუნის დაცვაში!.. მომეცით თოფი!.. (თოფს აიღებს, მზადაა. პაუზა. ვერსალელთა მხრით მოისმის ბუკის ხმას).

**ანდრე.** აბა მოვემზადნეთ!.. ის ბუკი ვერსალელთა იერიშის ნიშანია. ალბად მალე დაიწყებენ!.. (იქიდან ასტყდება ყიჟინა, სროლა; აქედანაც უშენენ;——ჟორჟი დაფს სცემს. ჯერ შარლს ხვდება ტყვია—ეცემა, მერე ლუის... ყველა მათგანი სიკვდილის წინ შესძახებს. „გაუმარჯოს კომუნას“ ანდრე დროშას აათრიალებს, ბარიკადაზე შეხტება და იძახის): პარიზის მოქალაქენო! აქეთ!.. დავიცვათ საყვარელი კომუნა!.. (ამ დროს ტყვია ხვდება, დაბარბაცდება, გადმოვარდება—როზეტა შველის, იჭრება, ბარიკადას მიეყუდება, მისუსტებული.) აახ, კომუნა... ჟორჟ. . შურისძიება... გაუმააარ...ჯო...ს კომ...-უ ..ნა...ს!!! (კვდება. პაუზა).

**ჟორჟი.** მამა! საყვარელო მამა!.. მე გადავუხდი ჯალათებს!.. (ჩასაფრებული ესვრის დამბაჩას. ტყვია ელევა, თოფს დაავლებს ხელს—ტყვია არაა, მერე დროშას ა'სწევს და იძახის) გაუმარჯოს კომუნას!.. (ამ დროს ვერსალელთა ყიჟინა გაი'სმის, ლეიტენანტი ბარიკადაზე ამოხტება—ხმალ - ამოწვდილი; იქვეა კაპრალი; ჯარისკაცები—თოფებით).

**ლეიტენ.** როგორ, ეს თხუნელა გვებრძოდა?! (გადიხარხარებს).

**ჟორჟი.** გაუმარჯოს კომუნას!!!

**ლეიტენ.** (ხარხარებს) კომუნა მოკვდა!..

**ჟორჟი.** (ტყუი... ის არ მოკვდება!..

**ლეიტენ.** ვინა ხარ?! (დასცინის).

**ჟორჟი.** ჟორჟ დიუ,—დურგალ ანდრეს შვილი!. აი მამაჩემი!.. (აჩვენებს). მე შური უნდა ვიძიო შენზე!.. (ისკუპებს და მოულოდნელად მივარდება, ახტება და ყელში სწვდება ჯერ კიდევ მოხარხარე ლეიტენანტს, მაგრამ მის უკან მდგომი კაპრალი ხიშტს ჩასცემს. ამავე დროს ლეიტენანტი ხელისკვრით მოიშორებს. ვარდება). აჰ!!! ჯალათებო!!! (კვდება. პაუზა. ლეიტენანტი ტანისამოს იწმენდს).

**ლეიტენ.** აჰ, რად მოჰკალი ეს ლეკვი?! ეს მაინც წაგვეყვანა ტყვედ და გვეჩვენებია გენერლისთვის—თუ ვინ გვებრძოდა!..

**კაპრალი.** მაშ, რაა... განა ამან კი ცოტა დახოცა ჩვენები?.. კინაღამ თქვენც... (ჯიბიდან ბოთლს იღებს—მოიყუდებს).

**ლეიტენ.** აჰ... რომ გაიზრდებოდა, უარესი გამოვიდოდა.., (გამარჯვებულის დაცინვის პოზით ცალ ფეხს ადგამს ჟორჟს და პაპიროზს სწევს. შორს კანტიკუნტად ისმის სროლა. არე წითლად ნათდება).

ფ ა რ დ ა.

---

# საბჭოთა სამკურნალო



აბასთუმანის ახალი სანატორიუმი, სადაც ზამთარ და ზაფხულ იგზავნებიან მუშა-მოსამსახურენი სამკურნალოდ.

# საქართველოს ცემენტი

ამ სამი-ოთხი წლის წინად იქ, სადაც ეხლა ამართულია კასპის ცემენტის ქარხანა, იყო აქაიქ მოხნული, გაშლილი მინდორი. დღეს აქ გაცხარებული მუშაობა სწარმოებს. 400-მდე მუშა აგებს უდიდეს, მთელს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მთავარ მასალას ახალი აღმშენებლობისათვის—ცემენტს. კასპის ცემენტის ქარხნის აგება მალე დამთავრდება. ქარხნის ამუშავება განზრახული იყო მიმდინარე წლის ივლისში, მაგრამ მისი დამთავრება დაჩქარდა და ქარხანა ამუშავდება ორი-სამი თვის შემდეგ.



კასპის ცემენტის ქარხანა მდებარეობს უცდგურ კასპთან, რკინის გზის ახლოს მტკვრის მარცხ ნა ნაპირას, ქარხნის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ახლოა რკინის გზასთან და ამასთანავე ახლოვე აქვს ნედლი მასალა—კირი და თიხა, რომლებიც საჭიროა ცემენტისათვის.

ქარხნიდინ $2^1/_2$ კილომეტრის მანძილზე მდებარეობს მთა საჩიტე, რომელიც იძლევა საუკეთესო ხარისხის კირს და თიხას ცემენტისათვის. გეოლოგიურმა გამოკვლევამ ნათელჰყო, რომ ქარხანას კირის და თიხის მარაგი ეყოფა 40 წლის განმავლობაში. საჩიტედან, სადაც იწარმოებს კირის და თიხის ამოღება და მათი გასუფთავება, ქარხნამდე გაყვანილი იქნება საჰაერო გზა ნედლის მასალის გადასაზიდავათ. მუშაობა გზის გასაყვანად დაწყებულია. მიღებულია ყველა საჭირო მასალები. თვით ქარხანა შესდგება რამოდენიმე ნაწილისაგან. ერთ ნაწილში წარმოებს თიხის დაზელვა, კირის გასუფთავება, გამოწვა, მეორე ნაწილში მაგარი თიხის დაფხვნა. ნახშირის, კირის და თიხის არევა ერთი მეორეში, რომლის შედეგია ცემენტი. ქარხნისათვის თიხის და კირის გარდა საჭიროა ქვა-ნახშირის დიდი რაოდენობა. გამოირკვა, რომ ცემენტის მისაღებად ტყიბულის ქვა-ნახშირი საუკეთესოა. ცემენტის ქარხნის ამუშავება დიდათ გაზდის ტყიბულის ქვა-ნახშირის ამოღებას.

კასპის ცემენტის ქარხანა ყოველწლიურად დაამზადებს 720.000 ბოჩკა ცემენტს, ე. ი. 7.200.000 ფუთ ცემენტს.

ჯ.

---

# სტუმრად კომუნარებთან.

(ამიერ კავკასიის ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის პირველ სას. სამ. კომუნა)

მატარებელი გაჭედილია ხალხით. არსად დასაჯდომი ადგილი არ არის. დავიძარით თბილისიდან თანდათან ხალხი ჩამოდის და როგორსაც სად. კასპს მიუახლოვდით შესაძლებელი გახდა დასაჯდომი ადგილის შოვნა, მაგრამ ჩვენ უკვე ჩამოვედით, რადგან აქედან ვაპირებთ სამთავისის კომუნაში წასვლას.

— თქვენ კომუნაში მიდიხა<sup></sup>თ? დაბრძანდით, მალე ჩაგიყვანთ—გვეუბნება მელინეიკე. ლინეიკაც გადატვირთული აღმოჩნდა. პირველად ცხენები ადვილად სძლევდნენ აღმართს და ოღრო-ჩოღრო გზას, მაგრამ მალე ქანცი გამოელიათ და დაიწყეს კუს ნაბიჯით სიარული: სად არის „ავტო-გზა"? იცის თუ არა მან ამ გზის არსებობა?

მივდივართ მდ. ლეხურის ნაპირზე. ოდესღაც ამ მდინარეზე ხიდი იყო, მაგრამ, ერთხელ, წყალდიდობისას, მი გან ნიშანიც კი აღარ დარჩა. როგორც იყო, დიდი ვაი-ვაგლახით გადავედით მდინარე, მაგრამ მდინარის ადიდების დროს გლეხებს უხდებათ რამდენიმე კილომეტრის შემოვლა.

— თუ კი ხელმძღვანელები გვეყოლებიან, ხიდს ავაგებთ, მუშა ხ ლს ვიშოვით—მეუბნება ჩემი თანამგზავრი გლეხი.

გავიარეთ ს ფ. იგოეთი. ბაღებში მუშაობა გაჩაღებული, ემზადებიან საგაზაფხულოდ.

განვაგრძობთ გზას. გამოჩნდა სამთავისის ტაძრის გუმბათი. ერთი-ორი კილომეტრი კიდევ და მივედით დანიშნულ ადგილას. ჩვენი თანამგზავრები გამომშვიდობებისას გვეუბნებიან:

— სამთავისის კომუნა მაგალითია ყველასათვის. მათ ყველაფერი საკმაოდ აქვთ, ნაკლებობას არაფერში განიცდიან, მართალია, რომ საერთო მეურნეობა უკეთესია!

მივედით კომუნის შტაბთან. შევედით საერთო საცხოვრებელში და მაშინვე გვიცანით კომუნარები. მოწყობილობა სადა და უბრალოა, მაგრამ ყველგან და ყველაფერში სჩანს მზრუნველი ხელისუფთად გაშლილი ლოგინები, ტახტები, რამდენიმე სკამი, კედლებზე ილიჩის, სტალინის, ვოროშილოვის სურათები და კომუნარების ბავშვ ის ნახატები.

—ჩვენი კომუნა ამიერ-კავკასიაში უძველესია—გვეუბნება კომუნარი. მთელი წელიწადი ვემზადებოდით კომუნის ჩამოსაყალიბებლად და აი, 1924 წლის 10 დეკემბერს კომუნა დაარსდა. პირველად ჩვენ არ გვიჯერებდნენ, გვარწმუნებდნენ რომ არაფერი გამოვა, კულაკები ეწეოდენ აგიტაციას კერძო მეურნეობის სასარგებლოდ, მ ევდლები ავრცელებდნენ ჭორებს, მაგრამ ჩვენ მაინც შევერთდით და აი, როგორც ხედავთ, ვცხოვრობთ.

კომუნა უკვე მეექვსე წელია არსებობს. ის ახალგაზრდაა, მაგრამ ამ მოკლე დროში იმდენი რამ გაკეთდა, რომ კომუნას თამამად შეუძლია ჩადგეს საბჭოთა კავშირის მოწინავე კომუნების რიგებში. ასში გაერთიანებული 125 ოჯახი საუკეთესოდ მეტყველებს იმაზე, რომ კომუნა მტკიცეა და შემდგომი აყვავების გზაზე სდგას.

—ვცხოვრობთ მთლიან ოჯახათ, მთელი მოსავალი განსაზოგადოებულია, ხედმეტს ვყიდით, ხოლო ფული საერთო სალაროში მიდის. ვმუშაობთ ერთნაირად, გაჭირვების დროს ვშველით ერთი-მეორეს. ხელმძღვანელობას გვიწევს კომუნის საბჭო და სარევიზიო კომისია,—გვეუბნებიან კომუნარები.

კომუნას აქვს 142 ჰექტარი მიწა. კომუნის შემადგენლობაში ერთი აგრონომია. ის ავრცელებს კომუნარებს შორის სასოფლო-სამეურნეო ცოდნას, ასწავლის მათ როგორ ებრძოლონ მავნებლებს და სხვ.

მიწის დამუშავების ძველი ფორმები კომუნას დავიწყებული აქვს. ხის კავების მაგივრად გამოჩნდნენ რკინის რაშები—„ხოლტები", კევრის მაგივრად—ახალი მანქანები.

—ვთესავთ სათესი მანქანით, გვიხსნის კომუნარი, შრომა უფრო მსუბუქია, მოსავალი კი გაცილებით მეტი. საერთოდ, ცუდი მოსავალი, კომუნის დაასების დღიდან, ჩვენ არ გვახსოვს. ჩვენმა კოლექტივმა გადალახა ყველა დაბრკოლებები.

კომუნარებს შორის არ არის არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი. საბავშო ბაღებში და სკოლებში სწავლობენ მომავალი კომუნარები.

ვათვალიერებთ კომუნის ბაღებს, ვენახებს და საფუტკრეს. კომუნას აქვს ორი ტრაქტორი, სალეწი ძა ქანა, ტრიერი სეპარატორი და პატარა ლოკომობილი.

შრომის ორგანიზაცია კომუნაში გარკვეულია. კომუნარები დაყოფილი არიან ათეულებად. ყოველდღიურად იღებენ მუშაობის განწყობილებას. დისციპლინა მტკიცეა.

კომუნას იცნობს მთელი მაზრა, დიდი და პატარა მათგან იღებენ მაგალითს, სთხოვენ რჩევა-დარიგებას. კომუნა მტკიცე ნაბიჯით მიდის სოციალიზმისაკენ—ამაშია მისი უდიდესი მნიშვნელობა.

ე. შ—ი.

# ჩვენი ფოტო--ქრონიკა



ჩაის ხმობის შემოწმება ჩაის ფაბრიკაში სოფ. ზვანში (გურია).



ხეზე მომუშავეთა არტელში გაერთიანებული შინამრეწველები ძუთაობის დროს.



თბილისის ავეჯეულობის ქარხნის უჯრედში მუშებს განცხადებები შეაქვთ პარტიაში მისაღებად.



ჩაის ჩაყრა როლერში ს. ზვანის ჩაის ფაბრიკაში (გურია).



სოფ. უჯარმის კოლექტივის წევრები მიდიან გაერთიანებულ მიწებზე სამუშაოდ.



კოლექტივის წევრები სარწყავ არხის გასაყვან სამუშაოზე (ხაშურის რაიონი).



ქიათურის მაღაროელი უსმენს რადიოს.



ტრაქტორი ხნავს გაზაფხულის ანეულს.

# მიმდინარე წლის მარტში
# გამოვა

## ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიური
## ჟურნალი
# „ბოლშევიკი"

საქ. კომპარტ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის ორგანო

## ხელისმოწერა მიიღება

**თბილისში:**

„კომუნისტი"-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთ. პრ. № 34)

ფოსტის ცენტრალურ საგაზეთო ბიუროში.
„კომუნისტი"-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და ქვითარებით.

**პროვინციაში:**

ფოსტის უწყების ყველა დაწესებულებებში.
„კომუნისტი"-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და რკინის გზის კიოსკებში.

**ჟურნალის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 1930 წლის ბოლომდე | — 2 მ. | 50 კაპ. |
| 6 თვით . . . . . | — 1 მ. | 50 კაპ. |
| 3 თვით . . . . . | — | 75 კაპ. |
| 1 თვით . . . . . | — | 25 კაპ. |

ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ.

„კომუნუსტი"-ს გამომცემლობა.

მთავლ. № 593. ტირაჟი 6000. პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა. გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობა.